

პანტანო ჭანკოტაძე

მეზოზოო

სასუბურა



რედაქტორი: დარეჯან ჭანკოტაძე

მხატვარი: ნუგზარ ფოფუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მალვა მურადაშვილი

გველების სასაფლაო



არავინ იცოდა, როდის ან რა ვითარებაში შეურჩიეს მას მეტსახელად „ჟესტოკა“.

ჯირკვივით დაკუნთული ტანი ჰქონდა. სწრაფად დადიოდა და მკვეთრი მიხვრა-მოხვრით გამოირჩეოდა. თელავის მზით გარუჯულს, თავი ჩახუჭუჭებული თმით ჰქონდა დაფარული. სახე სულ უდიმოდა და თვალებიც რაღაცნაირ, უცნაურ მხერას აფრქვევდა. თუ დაკვირვებით ჩახედავდით, შეამჩნევდით, რომ თვალების სიღრმიდან დამცინავი და იმავდროულად სას-

ტიკი და ბოროტი რამ შემოგცქეროდა.

მეზობელი ქალები თუ ქათმის დაკვლას სთხოვდნენ და დანას ან წაღღს მიაწვდიდნენ – ეგ რაში მჭირდებო, გამოსცრიდა ხოლმე გამეჩხერებულ კბილებში, წაავლებდა ქათამს თავში ხელს და მძღავრად დაიქნევედა. მერე ცხენივით ჭიხვინებდა: „ნახეთ, ნახეთ... როგორ ფართხალებსო“. იქნებ ამიტომაც შეარქვეს „ჟესტოკა“.

თავისზე ოთხი-ხუთი წლით უმცროს ბავშვებთან უყვარდა თამაში. ადვილად იმორჩილებდა და თავის ნებაზე „აცეკვებდა“ მათ. ბავშვებს არ მოსწონდათ მასთან თამაში, მაგრამ შიში და რიდი ჰქონდათ და უსიტყვიდ ასრულებდნენ ყოველ მის ნება-სურვილს.

ზაფხულის არდადეგებზე თითქმის ყოველ მეორე დღეს ჯგუფად მიდიოდნენ საბანაოდ ალაზანზე.

იქ ე.წ. შაქრიანის ხიდთან ჰქონდათ შერჩეული ერთი ადგილი, სადაც მდინარე მღორედ მოედინებოდა და საცურაოდაც კარგი პირობები იყო. წყლიდან ამოსულები გაიმხლართებოდნენ ხოლმე რიყის ცხელ ქვებზე და გოჭებივით იბრაწებოდნენ.

„ჟესტოკას“ უყვარდა ღითონის უზარმაზარი ფერმებით შეკრული ხიდის სულ ზედა ნაწილზე ასვლა. გაცხელებულ ღითონზე მიცოცავდა ფეხშიშველი. მაღლა ასული კარგა ხანს იდგა ხოლმე და ყურადღებით ათვალიერებდა წყლის ზედაპირს. ბავშვები შიშით შესცქეროდნენ რვა-ცხრა მეტრის სიმაღლეზე მდგომს და ხმისამოუღებლად ელოდნენ მის შემდგომ

მოქმედებას.

რადაც მომენტში „უესტოკა“ ჩაბუქნავდა, დაიქნევდა სხეულს და წინგაწვდილი ხელებით ისარივით ერჭობოდა წყალში. იმხელა ტალღა აიფოფრებოდა ხოლმე, რომ გეგონებოდათ დინამიტი ააფეთქესო. მოშორებით ამოყვინთავდა და მარცხენა ხელით ნაპირისკენ მიცურავდა; მეორე, მადლააწვდილ ხელზე კი გველი ჰყავდა შემოხვეული ყელში წაჭერილი ცერა და საჩვენებელი თითებით. გველი იგრისებოდა, იკლაკნებოდა და კუდს იქნევდა, მაგრამ როგორ გაექცეოდა „უესტოკას“ რკინის მარწუხებივით ჩაჭიდებულ თითებს.

ამბობდნენ, ალაზნის ტალღებს ხშირად მოაქვს პატარა შავი გველები ხემცენარეებით და ქვა-ღორღით ნაშენები ნაპირდამცავი ჯებირებიდან, განსაკუთრებით დიდწვიმიანობის შემდეგო.

ბავშვები აქეთ-იქით გაიფანტებოდნენ და შიშისგან გაფართოებული თვალებით შორიდან უცქერდნენ „უესტოკას“. ის კი მოხერხებულად, ხელის ძლიერი დაქნევით ცხელ ქვებზე დაანარცხებდა ხოლმე გველს და თუ ერთი დახეთქებით ვერ გააფრთხოვინებდა სულს, მერე ქვით უჭეჭყავდა თავს; გამარჯვებულივით მადლა ასწევდა ხელებს და ისევ ფერმაზე მიცოცავდა მორიგი გველის დასაჭერად. ასე გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. ბავშვების საყვარელი ადგილის გარშემო მრავლად ეყარა ჭიანჭველებისა და სხვა მწერებისაგან გველების გამოხრული ჩონჩხები.

გველეხის სასაფლაოდ მონათლეს უბნის ბიჭებმა ის ადგილი.

გადიოდა წლები. ბიჭები დაიზარდნენ, დაამთავრეს სკოლა და მიმოიფანტნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ომის შავმა ღრუბელმა მოქუფრა თელავის ცაც. „ჟესტოკა“ ფრონტზე გაიწვიეს; მოხუცმა, ავადმყოფმა დედამ ერთადერთი სამკუთხა ბარათი მიიღო მისგან. ეს იყო და ეს. თითქმის თორმეტი წელი „ჟესტოკას“ შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობდა. არავინ იცოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

როგორც იქნა დაბრუნდა. სახლის კარი აჭედელი დახვდა. მეზობლებს მიებარებინათ მიწისთვის შიმშილსიცივით და დაუსრულებელი ღოდინით დაუძღურებული ავადმყოფი დედამისი. მარჯვენა ხელის მუჭაში ჰქონდა ჩაბღუჯული ცრემლებით დამბალ-გაცრეცილი სამკუთხა წერილი, უყვებოდნენ „ჟესტოკას“ მეზობლები.

მეზობლებისთვის ხშირად უთქვამს „ჟესტოკას“: „ბევრჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში, ოთხჯერ დამჭრეს და ტყვედაც ჩამიგდეს, მაგრამ მაინც გადავრჩი და დავბრუნდი. ღმერთმა არ გამწირა“. მერე გაიხდიდა წელსზევით და ცნობისმოყვარე მეზობლებს უყვებოდა ძველებურად გარუჯულ ტორსზე მოშუშებული ჭრილობების ისტორიას.

ალაზნის ნაპირზე, გველეხის სასაფლაოსთან, ზუსტად იმ ადგილთან, სადაც უბნელი ბიჭები იყრიდ-

ნენ ხოლმე თავს – პატარა ბალი შემორჩა „უესტოკას“ განადგურებულ ოჯახს. წყალი უხვად იყო და მოსავალიც ბარაქიანი იცოდა. ადრიან გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე იქ იყო და სარჩო-საბადებელი მოჰყავდა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თელავში, ისიც მაშინ, როცა ბაზარში მიჰქონდა გასაყიდად ხილ-ბოსტნეული. ნავაჭრით შეიძენდა ხოლმე საჭირო პროდუქტებს და რამდენიმე დღით ისევ გაუჩინარდებოდა.

თელაველებმა შეამჩნიეს, რომ „უესტოკა“, ბოლო დროს, განსაკუთრებით ეტანებოდა ჭაჭის არაყს. ხშირად უნახავთ უგონოდ მთვრალი. ერთხელ კი ხმა დაირხა ქალაქში – „უესტოკა“ მომკვდარაო. ზუსტად კი არავინ იცოდა, როდის ან რა ვითარებაში. აბმობდნენ, მონადირეებს უნახავთ ძლიერი წვიმის დროს ქოხში თავშესაფარებლად მისულებს. კისრის არეში ორი შავ-წითელი, შესიებული ლაქა ემჩნეოდაო.

თელავის პოლიკლინიკის ექიმებს ერთხმად დაუდასტურებიათ – გველების მიერ არის დაკბენილიო.

აკნატუნე

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო...“

(ნ. ბარათაშვილი)



ასეთი მეტსახელით იცნობდა მას სამასკომლიანი სოფელი. მათ თვალწინ გაიზარდა მცირე საკშივე უმშობლებოდ დარჩენილი ბავშვი. სოფელი პატრონობდა და ზრდიდა. ვისაც რით შეეძლო ეხმარებოდა, მხარში ედგა. კარგად ახსოვთ სოფლელებს, როგორ გაისტუმრეს პირველ კლასში. უხაროდათ, რომ გზაზე დააყენეს და მომავალშიც აპირებდნენ მზრუნველობას, მაგრამ დაი-

წყო მეორე მსოფლიო ომი და საერთო, ტოტალურმა გაჭირვებამ თავისი დალი დაამჩნია ყველას და ყოველივეს. ყოველდღიური სარჩო-საბადებლის ძიებით დაკავებული აკნატუნე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს და საგრძნობლად ჩამორჩა თანატოლებს.

შემოგლეჯილ-შემოფლეთილი ტანსაცმელი ძლივს უფარავდა სხეულის ნაკვთებს. ფეხისგულები ერთ-თავად დაბეჟილ-დასისხლიანებული ჰქონდა ძირდახვრეტილი ქალამნების გამო. თმები ჭუჭყიანი და აბურდული ჰქონდა მუდამ. გემრიელი ჭამა იცოდა. თუ ვინმე სამადლოდ მიიპატიჟებდა, თვალის დახამხამებაში გადასანსლავდა ყველაფერს ხელის მისაწვდომზე. განსაკუთრებით უყვარდა შემწვარი ვარია. ერთ ჯერზე არ ჰყოფნიდა ერთი ტაბაკა. ნორჩ ძელებს დიდი ხნით აკნატუნებდა ისე, რომ მადას უღვივებდა არამჭამელებსაც კი. ხშირად უთქვამს ღიმილით – ვარიის ძელების კნატუნი ერთრამედ მიღირსო. ალბათ ამიტომაც შეარქვეს სოფლელებმა მეტსახელად „აკნატუნე“.

მდინარის გაღმა, პატარა სოფელში შორეული ნათესავი ჰყავდა აკნატუნეს. გიო პაპას ეძახდა ყველა. ალალი შრომით ცხოვრობდა და პატიოსნებითა და გულუხვობით იყო გამორჩეული.

ხშირად უნახავთ დილაადრიან თავის შორეულ ნათესავთან მიმავალი აკნატუნე, რომელსაც ჯვალოს ტომარა ჰქონდა ხოლმე მხარზე გადაგდებული. სოფლელები ფიქრობდნენ – გიო პაპა კარგად დაანაყრებს და აქეთაც რამეს გამოატანს ერთი-ორი დღის საკმარის სანოვაგესო.

საცოდავი სანახავი იყო აკნატუნეს ეხო-კარი. ბელეტაჟის ტიპის ერთსართულიანი, ნახევრადხის სახლი მთვრალი კაცივით გადახრილიყო ცალ მხარეს და იფიქრებდით, სადაცაა წაიქცევაო. კრამიტები ერთიანად დაღეწილი იყო და წვიმა ჩადიოდა. ხის აივნის იატაკის ფიცრები დაბზარულ-დაგრეხილი იყო და თუ სიფრთხილით არ მოიქცეოდა კაცი, შეიძლება კისერიც მოეტეხა. პატარა ეხოშიც ყველაფერი არეულ-ღარეული იყო და ნაგავს მიჰქონდა იქაურობა. ერთ-ერთი ფანჯრის მინა ჩამტვრეული იყო და თუ ზაფხულში სასიამოვნოდ უბერავდა ნიავი, ზამთარში ჭირდა სიცივის შეჩერება. აკნატუნე ხან ბალიშს ჩატენიდა ხახადაღებულ ჩარჩოში და ხანაც მუთაქას. არც მინა იშოგვებოდა და არც მინის გამომჭრელი იყო ვინმე.

წამოიზარდა აკნატუნე. ხმა დაუბოხდა და ზედა ტუჩი ღინღლით დაეფარა. კოლმეურნეობაში დააწყებინეს მუშაობა. ხელი გაანძრიე, თორემ შიმშილით მოკვდებიო, ურჩევდნენ მეზობლები. გული ვერ დაუდო მუშაობას. ხშირად აცდენდა სამუშაოს, რითაც საყვედურს იმსახურებდა ხელმძღვანელებისგან. შიმშილის შეგრძნება გამუდმებით აწუხებდა და გიო პაპასთან მოუხშირა სიარულს. დილაადრიან მიდიოდა მასთან და გვიან საღამოთი ბრუნდებოდა.

ყველა სოფელს აქვს თავისი თავშეყრის ადგილები. ამ სოფელშიც რამდენიმე ადგილას საღამოობით იკრიბებოდნენ ხოლმე შრომით დაღლილი კოლმეურნეები და ათას რამეზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ. ხანდაზმული მამაკაცები ფრონტის ამბებს გადასცემ-

დნენ ერთმანეთს – რადიოში მოსმენილი და გაზეთებში ამოკითხული ინფორმაციის მიხედვით; ქალები კი საჭირობორტო საყოფაცხოვრებო საკითხების „მიმოხილვით“ იყვნენ დაკავებულნი და ქოქოლას აყრიდნენ ჰიტლერსა და მის დამქაშებს; არც ფრონტიდან მიღებულ სამკუთხა ბარათებს ტოვებდნენ უყურადღებოდ და დაღუპულთა ოჯახებსაც თანაგრძნობას უცხადებდნენ.

– ქალებო, წამოიწყო მართამ; ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ მეღია შემოეწვია ჩვენს სოფელს და ქათმებს იპარავს. ამ ბოლო ერთ თვეში უკვე სამი ვარია გაქრა, ვერ მივაგენი გზას და კვალს.

– უი, მეც მინდოდა ამ საკითხზე მეტქვა. ჩაერთო თებროლე.

ორი დღის წინ ჩემი საყვარელი ქოჩორა ვარია დაგკარგე. ისეთი ღამაზი იყო, რომ ავ თვალს არ დანახებოდა. საუბარში ჩაერთო ვენერა.

– ამასწინათ წისქვილში ვიყავი და ჩემი ყურით მოვისმინე ზემოუბნელი ქალების ჩივილი – სისტემატურად იკარგებიან ქათმები, განსაკუთრებით კი მოყვინჩილებული ვარიებიო. ფიქრობდნენ, რომ მეღია შეეწვია მათ საქათმეებს.

– ახლა ჩემიც მოისმინეთ, გაემზადა სათქმელად ბაღდადაანთ მარო. ჩემი დედამთილი გვეწვია ამასწინად, ხომ იცით – სოფლის თავში ცხოვრობს; ჰოდა შემომჩივლა, ამ ბოლო დროს ქათმები იკარგება ჩვენ უბანშიო.

– ჰოო... საქმის ცოდნით აღნიშნა, აქამდე ჩუმაღმჯ-დომმა მაკრინემ. თუ სოფლის ყველა უბანში იკარგება ქათმები, ე. ი ერთი არ იქნება ის ოხერი მეღია; ალბათ ბევრნი არიანო, დაამთავრა სათქმელი და გააგრძელა კალთაში აგროვილი მატყლის ჩეჩვა.

იმსჯელეს და იხმაურეს ქალებმა და დაიშალნენ. ქათმები კი კვლავ უგზო-უკვალოდ იკარგებოდნენ. დღე არ გავიდოდა, რომ რომელიმე უბანში არ დაკარგულიყო ვარია.

გამწარდნენ ქალები და კვლავ შეიკრიბნენ საგანგებოდ.

– ჩვენი აკნატუნე ხომ არ ხელმრუდობს, ჰა... – იკითხა მართამ.

– არა, ქალო, ეგ ბალდი ასეთ რამეს არ იკისრებს.

– რა ვიცი, ძალიან რომ უყვარს ვარიის ძვლების კნატუნი, იქნებ სულმა წასძღია.

– სადა აქვს მაგის თავი, მაგ უბედურს; თუმცა „ემმაკი წყლის ფერიაო“, ხომ უთხვამთ ბრძენებს.

– ჰოდა შევამოწმით, მაგაზე ადვილი რა არის. ამდენ ვარიას ისე როგორ დაკლავს და შეჭამს, რომ კვალი არ დატოვოს ეზო-კარში!?

– გიო პაპასთან რომ წავა, მივიდეთ აკნატუნესთან სახლში და დავათვალიეროთ მისი ბინისა და ეზოს ყველა კუთხე-კუნჭული.

ასეც მოიქცნენ, მაგრამ ვერაფერი ეჭვმისატანი ვერ აღმოაჩინეს. უფრო მეტიც – სინანული იგრძნეს თავიანთი საქციელის გამო. ეს რა ცოდვა ავიღეთ ჩვენ

თავზე, როგორ დაეწამეთ ცილი ობლადგაზრდილ ბიჭსო. დაულაგეს სახლიც და ეზოც. სულ გააპრიალ-გააკრიალეს ყველაფერი. მზრუნველი ქალების ხელი დაამჩნიეს გაპარტახებულ ეზო-კარს და მიაშურეს თავიანთ სახლებს გაწბილებულებმა, მაგრამ შინაგანად გახარებულებმა იმით, რომ ქურდობაში არ იყო ჩარეული მათი საყვარელი აკნატუნე.

ვარიები კი კვლავ იკარგებოდნენ.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, გვიან ღამით მეზობლებს სამყურაანთ სახლის მხრიდან შემოესმათ კაცის ხმამაღალი გინებისა და ქალების წყევლა-კრულვის ხმები. მათი ახლადშექენილი ნაგაზიც ყვეა-ღრენით იკლებდა იქაურობას.

რა იყო, მიხო, რა მოხდა, გასძახეს მეზობლებმა.

– მოდით, ხალხო, მოდით ნახეთ თქვენი თვალთ, ქათმის ქურდი დავიჭირეთ, ჩემმა „ბომბორამ“ ივაჟკაცა.

„ბომბორას“ მიწაზე დაეგდო აკნატუნე და მძიმე თათებით დასწოლოდა მკერდზე. იქვე იდგა თოფმომარჯვებული მიხოც. ქალების წყევლას აღარ ჰქონდა დასასრული. თავმომწონე უშველებელ მამალსაც მოუსვენრობა ეტყობოდა. გარშემო უტრიალებდა მიწაზეგართხმულ აკნატუნეს და ცდილობდა როგორმე ჩაენისკარტებინა. ერთთავად კოტკოტებდა და ფრთებზე დეხებს ილესავდა.

მილიციელმა რაიონის ცენტრში გადაიყვანა აკნატუნე. ერთ კვირაში გაასამართლეს. შეეკითხნენ, როგორ ახერხებდი, რომ კვალს არ სტოვებდიო. აკნატუ-

ნემ უპასუხა: „გიო პაპას გვერდით ხანშიშესული ქალი ცხოვრობს, ნათელა; ქმარ-შვილი ფრონტზე იბრძვის. ბუმბულის ბალიშებსა და ლეიბებს კერავს და იმით ირჩენს თავს. ყველა ქათამი მასთან მიმყავდა – ბუმბულს ის იტოვებდა, მე კი წილად შემწვარი ტაბაკა მელოდა“.

გაუკვირდათ სამართალდამცავებს. იფიქრეს და გაითვალისწინეს რა მისი მცირეწლოვანება და ის, რომ გაჭირვებულ ქალბატონს ესმარებოდა და მხოლოდ შიმშილის გამო ქურდობდა – ექვსი თვით გაგზავნეს შორეულ ტყეში შეშის დასამზადებელ პუნქტში, იძულებით სამუშაოზე.

სოფელში ვარიები ადარ იკარგებოდნენ. დრო ნელა გადიოდა. სოფლელები უკვე სინანულით საუბრობდნენ – ასე არ უნდა დაგვესაჯაო. რა იქნებოდა, რომ წელიწადში ერთხელ თითოეულ კომლს ერთი ვარია მიეცა იმ ღორმუცელასთვის, განა რა დაგვაკლდებოდა ისეთიო. მაგრამ გვიანი იყო. აკნატუნე უკვე იხდიდა თავის სასჯელს.

ერთი უცნაური რამეც შენიშნეს სოფელში. ხშირად გაიგონებდით:

– ქალო, დილით საკენკის ჭამას რომ მორჩებიან, მოგროვდებიან ჩემი ქათმები ერთად და ასე დაჯგუფებული სადღაც მიდიან და საღამოს ასევე ჯგუფად ბრუნდებიან.

– ჩემი ქათმებიც ასე იქცევიანო, დაამატებდა მეორე. მამალი ჩაუდგებათ ხოლმე სათავეში და ბაღბოსტნებისა და ორღობეების გავლით სადღაც უჩი-

ნარდებიან. ვახშობობისას კი უკლებლივ ბღუნდებიან.

– ზემოთუბნელებიც იგივეს ამჩნევენო, დაამატებდა მესამე.

ღროთა განმავლობაში ამ ამბავსაც მიეჩვივნენ და ყურადღება არ მიუქცევიათ. იმას კი ფიქრობდნენ – ალბათ კაი ჭია-ღუას მიაგნეს სადმეო.

ამასობაში ექვსი თვეც გავიდა და აკნატუნე გაუშვეს სახლში, თან გააფრთხილეს: „სოფლელებს ბოდიში მოუხადე და პატიება სთხოვე. ეცადე, რომ შეგირიგდნენ. პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელი, თორემ სხვა შემთხვევაში მკაცრად დაგსჯითო“.

მიდიოდა სახლისკენ აკნატუნე და ფიქრობდა: „ამ სოფელში აღარ მეცხოვრება, თავი მომეჭრა; ავიღებ ჩემ ბარგი-ბარხანას და გიო პაპასთან გადავალ საცხოვრებლად. როცა მომინახულა, აკი მითხრა: ჩემთან გადმოდი, შვილო, საცხოვრებლად, მარტო ვარ და ხმის გამცემი მეყოლებაო.“

ღობე-ღობე, თითქმის შეუმჩნეველად მიადგა ეზოს ჭიშკარს. გაიარა პატარა ეზო და ერთიანად მორყეული ხის სამსაფეხურიან კიბეზე შედგა ფეხი. აივანი სწრაფად გაიარა. შეამჩნია სკინტლის კვალი, რომელიც აივნიდან ჩამტვრეული ფანჯრისკენ მიდიოდა; თუმცა შიგნით ოთახში მართლაც რომ საოცარი სურათი დახვდა,

მამაპაპისეულ მაგიდაზე ახორებული სკინტლის გორები ლამის სწვდებოდა აბლაბუდებმოდებულ სადენზე ჩამოკონწიალებულ გადამწვარ ნათურას.

კველეზური საათი



პარასკევს, საღამოს, ლაღო გულდამძიმებული და სულიერად განადგურებული ბრუნდებოდა სამსახურიდან სახლში. კარგად ახსოვდა თათბირის ყოველი წვრილმანიც კი. ახალმა დირექტორმა ისე გალანძღა და შეურაცხყო, რომ თუ იქვე არ გაუსკდებოდა გული – არ ეგონა. ახლაც მკაფიოდ ესმის მისი სიტყვები: „არაფრის გამკეთებელი შენ არ ხარ, ტყუილად გაძღვე ხელფასს, უნდა შეიგნო, რომ შენი დრო წავიდა... ახლა სხვა დროა და სხვა მოთხოვნები...“

მეხი დასცემოდა ის ერჩივნა. საყვარელი კოლექტივის წინაშე სასტიკად დაამცირეს და აბუჩად აიგდეს. წყალში

გადაუყარეს ოცდათხუთმეტწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს.

მილასლასებდა სახლისკენ და გარშემო ვერაფერს და ვერავის ამჩნევდა. მანქანამ სანტიმეტრებში ჩაუქროლა ფიქრებში ჩაფლულს. ნეტავი დამჯახებოდაო, გაიფიქრა უნებლიეთ.

სახლში არავინ ელოდა მარტოხელას. ორი თვის წინ მიწას მიაბარა ავტოკატასტროფაში დაღუპული მეუღლე და ერთადერთი შვილი. ხმის გამცემი აღარავინ დარჩა. ერთადერთი ცოცხალი არსება, მას რომ ელოდა, იყო საყვარელი ძაღლი ტაგო. უკვე შვიდი წელია ერთად ცხოვრობდნენ და კარგადაც უგებდნენ ერთმანეთს.

ტაგო ერთიანად შავი ბეწვით იყო დაფარული. კისრის გარშემო, ტანზე და თათებზე კი თეთრი ლაქები ჰქონდა, რაც ძალიან მოსწონდა ლადოს. საოცრად გონიერი და მშვიდი ხასიათის იყო თეთრსაყელიანი და თეთრთათებიანი ტაგო.

თითქმის ყოველ დილასადამოს დასეირნობდნენ ახლომდებარე სკვერში, ავდარი იყო თუ დარი. სამსახურიდან დაბრუნებულ ლადოს აუცილებლად ეზოს ჭიშკართან ხვდებოდა კუდის ქნევითა და კუნტრუშით.

იმ სადამოს ლადოს არ ჰქონდა ძაღლის გასეირნების თავი. გულადმა მიწოლილიყო საწოლზე და ჭერს შესცქეროდა მიღწეული თვალებით.

საშინელება ტრიალებდა მის თავზე. არასდროს მიუყენებიათ ასეთი შეურაცხყოფა; ძნელადგადასატანი ტკივილი მიაყენეს ისედაც მარტოდდარჩენილს და ოჯახური ტრაგედიით განადგურებულ კაცს.

როგორღა მივიდეს სამსახურში, ან რა უთხრას იმ ადამიანებს, რომლებთანაც რამდენიმე ათეული წელი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, რის დასტურიც გახლდათ მის კაბინეტში წარმოდგენილი მედლები, დიპლომები, სიგელები, სამეცნიერო შრომები, გამოგონებები და საავტორო წიგნები.

უყვარდა თავისი სამუშაო კაბინეტი ლადოს – პატარა და მყუდრო. მრავალი იდეა და ჰიპოთეზა დაიბადა ამ კაბინეტში და განხორციელდა პრაქტიკაში.

გაახსენდა ის დღეც, როდესაც აქ ზუსტად ამ კაბინეტში, სიყვარულში გამოუტყდა მისივე ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკს, მომავალ მეუღლეს.

იწვა გულადმა და ტკბილ მოგონებებში ჩაფლულს შეუმჩნევლად ჩაეძინა.

თეთრლაქებიანი შავი ტაგო მოუსვენრად ცქმუტავდა და წკმუტუნებდა, მაგრამ ლადოს მისი აღარ ესმოდა; საოცარი სიზმრის ლაბირინთებში დაბორიალობდა და გასასვლელს ეძებდა...

გრიგალი მძვინვარებდა. ფესვებიანად მოგლეჯილი ხეები ფუტკარივით ირეოდა და საზარლად ღმუოდდა. ლადო წყვილიადში მიჰქროდა დიდი სიჩქარით, ხანაც გაკაშკაშებულ სივრცეში ხვდებოდა და გაფართოებული თვალებით აკვირდებოდა ყველაფერს. რაღაც ეკლებიანი წანაზარდები უკაწრავდა სახესა და სხეულს. ტანსაცმელი ერთიანად შემოგლეჯოდა. აშკარად ესმოდა ჭექა-ქუხილის ხმაც. მერე თავსხმა წვიმაც წამოვიდა. ხეების გადახლართული ფესვებიდან გამობობლდა რაღაც უცნაური არსება. ადამიანის პირსახე ჰქონდა ხშირი წვერით დაფარული.

გაჩეილი გრძელი თმის ბოლოები აღის ენებივით ფარ-ფატებდა წყვიდადში. ძლიერ ნიანგისებრ კუდს მძღაგრადა იქნევედა; შიგადაშიგ ჭუჭყიან და ძლიერ ეშვებს აჩენდა და ჩახლეჩილი ხმით როხროხებდა; თეთრი ფრაკი ეცვა კისერზე მჭიდროდშემოსასლტული შავი საყელოთი და ასევე შავი ყოშებით. შავი საყელო ისე მჭიდროდ ჰქონდა შემორკალული, რომ ლამის ახრჩობდა. თვალები გად-მოკარკლოდა და საშინელი ხმით, ყვაავივით დასჩხაოდა თავზე. მერე იერსახე შეიცვალა და ახალი ღირექტორის პირსახით მოეფლინა ლადოს. მეგაფონი ჩაებლუჯა და გაჰ-კიოდა: „უნდა მოშორდე“, „შენმა მატარებელმა ჩაიარა“, „აღარაფერი გესაქმება ჩვენთან“, ურჩხულის კუდს იქნევე-და, თითქოს მის გარშემო მოფარფატე ხეებს იგერიებდაო, ფესვებიანად რომ მოეგლიჯა რაღაც ძალებს.

ლადოს მოეჩვენა, რომ შავი საყელო ახრჩობდა საზ-არელ მოჩვენებას. იხრჩობოდა და თან იმუქრებოდა – „გაემზადე, უნდა წაგიყვანო იქ, სადაც შენი ცოლშვილი გელოდება და შენი წინაპრები განისვენებენ...“

ღირიუორივით იქნევედა შავყოშებიან ხელებს, თითქოს სურდა მოეწესრიგებინა ის ქაოსი, მის გარშემო რომ სუფ-ევედა იმ უკიდეგანო წყვიდადში.

– მე არსად ვაპირებ წასვლას, გაუბედა ლადომ.

– შენ ვინ გეკითხება, მბრძანებელი მე ვარ აქ – ჩაიხითხითა და ბანჯგვლიანი ხელებით წრე შემოსაზა.

ლადოს ირონით ჩაეცინა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა, მაინც როდის ან როგორ უნდა წამიყვანო და სულმოუთქმელად დაელოდა პასუხს.

უცბათ რაღაც შავი ღრმული გამოჩნდა და ურჩხუ-

ლისმსგავსი საზარელი არსება შიგ გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ შურდულით ნასროლი ქვასავით ამოვარდა იმ ღრმულიდან; ერთ ხელში დიდი საათი ეჭირა, მეორე ხელით კი შავ საყელოს ექაჩებოდა, რომ როგორმე ჩამოეგლიჯა, თორემ სადაცაა დაახრჩობდა.

აი, ხომ უყურებ ამ საათს, ახლა დილის ექვსი საათია; დროს გაძლევ რომ თავი მოიწესრიგო; თუ სურვილი გაქვს ანდერძი დაწერე, წვერი გაიპარსე, სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვი და მაღიანადაც ისაუბმე. თორმეტი საათზე მოვალ და წაგიყვან; სიზუსტის მოყვარული ვარ და არ დაგაღალატებ. იცოდე, არ ვხუმრობ, დამიჯერე და შეასრულე რასაც გეუბნები; ზუსტად თორმეტი საათზე... თორმეტი საათზე... თორმეტი საათზე... გაიმეორა რამდენჯერმე ადამიანის პირსახიანმა მონსტრმა და გაუჩინარდა. მერე წყვილი თითქოს გაქრა და ნათელმა დაისადგურა. შავი ღრმა ორმო სადღაც გადაიკარგა; აღარც მოფარფატე ხეების ღრიალ-გრიალის ხმები ესმოდა ლადოს და აღარც საშინელი ჩხავილი იმ ურჩხულისა, რომელსაც შავი საყელო ახრჩობდა. ცოტა მოეშვა გულზე; იფიქრა, – თავი დავაღწიე საზარელ სამყაროსო და ფრთხილად მიმოიხედა თავის გარშემო, საკუთარ სახლში იყო და შეეგება იგრძნო, მაგრამ სულ ერთი წამით. საშინელება ახლა მის საწოლთან იჯდა, ხელში დიდი საათი ეჭირა და ჩახლექილი ხმით ისევ თავისას გაიძახოდა: „თორმეტიზე, ზუსტად თორმეტიზე...“ მერე უცბად კარები გაიბრახუნა და გაქრა.

ბრახუნის ხმაზე გამოეღვიძა ლადოს. ოფელში ცურავდა, გული საშინლად უცემდა. იქვე საწოლთან იწვა

ტაგო და თვალებში შესცქეროდა. ლადოს რაღაცნაირი უცხო შეგრძნება დაეუფლა – თითქოს სხვა ქვეყანაში იყო, თითქოს ვეღარ სცნობდა თავის ბინას; აღარც ტაგო ეჩვენებოდა ძველებურად ალერსიანი და მშვიდი.

ძაღლის კისრის გარშემო შემოსალტულმა ზოღმა სიზმარი გაახსენა. ახლად შეამჩნია, რომ გაუხდელად დაწოლილა. თავბრუ ეხვეოდა და გულისრევის შეგრძნება აწუხებდა. ძლივს წამოიწია საწოლიდან. ხელების კანკალით, როგორც იქნა, გაიხადა ოფლით გაუღენთილი ტანსაცმელი და აბაზანისკენ წალასლასდა. ტაგო ფეხებში ებლანდებოდა და გამუდმებით წკმუტუნებდა.

წვერის პარსვის დროს ისევ გაახსენდა სიზმარი. სასწრაფოდ გამორთო ელექტროსაპარსი – როგორ, იმ მონსტრის მითითებას ვასრულებ?! არა, არა... მე ხომ ყოველდღიით ვიპარსავ წვერს, ის რა შუაშია... ფიქრობდა და სარკეში იცქირებოდა, ვეღარ იცნო თავისი თავი – თვალები სადღაც სიღრმეში ჩავარდნოდა, ქუთუთოების ქვეშ მომცრო ტომრები გასჩენოდა, ახალ-ახალი ნაოჭებით დასეროდა სახე და ნიკაპიც შეუჩერებლად უკანკალებდა.

ტაგო მოუსვენრად დარბოდა ოთახიდან ოთახში და ლადოსთვის აქამდეუცნობი ხმით წკმუტუნებდა. არასდროს უნახავს ლადოს ასეთი აფორიაქებული და შეწუხებული ტაგო. კისერზე გადაუსვა ხელი. ისევ სიზმარი გაახსენდა. მონსტრი წარმოუდგა თვალწინ; ისიც გაიხსენა, რომ მას კისერზე შავი საღტე ლამის ახრჩობდა; ნეტავ, რა იყო?! – გაიფიქრა ეს და წვალე-წვალეებით მძიმედ ჩაეშვა თავის საყვარელ სავარძელში.

მზე უკვე საკმაოდ ამოსცდენოდა პორიზონტს. „მოდი,

ახლა ვისაუზმებ და ტაგოსაც მივართმევ თავის საყვარელ ნუგბარს“ – გაიფიქრა ლადომ და შეკრთა. ისევ სიზმრად-ნანახი გაახსენდა „მადიანად ისაუზმეო“. თვალწინ წარმოუდგა საზარელი არსება ჭუჭყიანი დიდი ეშვებით და კისერზე მოჭერილი შავი საყელოთი. ტანში გააჟრჟოლა და ერთიანად აკანკალდა. ძლივს წამოდგა სავარძლიდან და სამზარეულოსკენ წავიდა.

გაჭირვებით ჩაყლაპა რამდენიმე ლუკმა, ტაგომ კი პირი არ დააკარა ჩვეულ ულუფას და ისევ აფორიაქებული წკაგ-წკაგით დარბოდა ოთახიდან ოთახში. მერე კარებისკენ გაიქცა წკმუტუნ-წკმუტუნით და სახელურს მისწვდა თეთრლაქიანი თათებით.

კარგი, კარგიო – მიაძახა ლადომ; წავიდეთ და ვისეირნოთ ჩვენ პარკში.

სიარული ძალიან გაუჭირდა ლადოს. ძლივს მიაღწია შეჩვეულ ადგილამდე, ძაღლს საბელი შეხსნა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

საამო ნიაგი ქროდა და სიმშვიდე სუფევდა გარშემო. ლადოს არსებაში კი საშინელება ტრიალებდა.

ისევ სიზმარი და ისევ ის საოცარი მონსტრი, რომელსაც ხან ურჩხულის იერსახე ჰქონდა და ხანაც ადამიანის – ისევ ისე დასჩხაოდა თავზე და ღრენა-ღრენით იმუქრებოდა.

მთლად დაუძღურებული ჩანდა ლადო. საშინელ ტკივილს გრძნობდა მკერდის არეში. თვალი დაუბნელდა, თითქმის ვეღარაფერს ხედავდა. ღრმად ჩაისუნთქა და ისევ აუტანელი ტკივილი. საგნებს გაორებულად ხედავდა, გული ერეოდა და სუნთქვა უჭირდა. მერე, როგორღაც

დალანდა თუ როგორი გაშმაგებით ქექავდა ტაგო ბუჩქების ძირში წლობით დაგროვებულ-გატკეპნილ ნემომპალას. დაინახა როგორ ამოათრია მიწის სიღრმიდან რაღაც ნივთი, კუნტრუმით მიურბენინა და ფეხებთან დაუგდო. ძველებური საათი აღმოჩნდა, ჯიბის საათი, დიდი ძეწკვით. ბევრს ეწვალა ლადო აკანკალებული და ძვალტყავადქცეული თითებით, მაგრამ ვერადავერ ახადა სარქველი. ერთიანად დაჟანგებულიყო კორპუსიც და ძეწკვიც.

ეკ, ვინ იცის როდინდელია; ნეტავ ვინ იყო მისი პატრონი; ახლა ასეთებს აღარ ატარებენ. აქ როგორ გაჩნდა ან როგორ... ფიქრობდა ლადო და თან გულზე იჭერდა ხელს, საშინელ ტკივილს გრძნობდა...

როგორც იქნა წამოდგა. მუხლები ეკეცებოდა. ძლივს მიაღწია ეზომდე. ტაგო ხან წინ მიუძღოდა და ხან გვერდით მისდევდა. კიბის მოაჯირს ჩასჭიდა ხელი და ფეხი შედგა საფეხურზე, მაგრამ ტანი ვეღარ აზიდა და უკან გადავარდა.

გულისშემზარავი ყმუილი წამოიწყო ტაგომ. მეზობლები შეგროვდნენ ლადოს ეზოში. გამოიძახეს საპატრულო სამსახური და სასწრაფო დახმარების ბრიგადა. პატრულის ოფიცერმა ლადოს ფრთხილად გაუხსნა მარჯვენა მუჭი და ყურადღებით შეათვალიერა ჯიბის ძველებური საათი.

ექიმები მკერდის მასაჟს უტარებდნენ ლადოს, მაგრამ ამოდ. გული სამუდამოდ გაჩერებულიყო.

ვერც პატრულის ოფიცერმა აამუშავა გაჩერებული და ერთიანად ჩაჟანგებული საათი. როცა დანის წვერით, როგორც იქნა ახადა სარქველი, შეამჩნია, რომ ისრები თორმეტის ნიშნულზე იყო მიჟანგებულ-გაქცევებული.

ახალი პარსკვლავი



თვალუწვდენელი სამყარო მილიარდობით თვითმნათი თუ მზითვანათებული სხეულებითაა სავსე. მათ შორის უკვე ცნობილების დიდ ნაწილს საკუთარი სახელი აქვს მინიჭებული მისი აღმოჩენის პატივსაცემად. ეს სახელები სამუდამოდ არის ჩაბეჭდილი კაცობრიობის ისტორიაში.

არც აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და ათეული წლების განმავლობაში აკვირდებოდნენ ცის კაბადონს, რაიმე ახლის აღმოჩენის იმედით.

მძლავრ ტელესკოპთან უწყვეტი, დღეღამური მორი-

გეობა იყო დაწესებული. დაკვირვებით ისინჯებოდა დღის თუ ღამის ცის ხილული მონაკვეთები. არავინ იცოდა ვის გაუღიმებდა ბედი. არადა, ნებისმიერი ახალი სხეულის აღმოჩენა ნიშნავდა სადისერტაციო თემაზე მუშაობას, სამეცნიერო ხარისხს, თანამდებობრივ წინსვლას, სახელის უკვდავყოფას და სხვა პრივილეგიებს.

ნიკა ბადრიძე ათ წელზე მეტია, რაც სწავლობდა და აკვირდებოდა ცას. თითქმის ზეპირად იცოდა ცალკეული მნათობების თუ თანავარსკვლავედების ადგილმდებარეობა, მოძრაობის ტრაექტორიები, მათ შორის მანძილები, მათი სიკაშკაშის ხარისხი, ორბიტალური სიბრტყეების დახრა, ხილულ მონაკვეთში მათი შესვლისა თუ გამოსვლის დრო და მრავალი სხვა ნიუანსი. ალბათ საკუთარი ხელისგულის რელიეფს არ იცნობდა ისე კარგად, როგორც ღამის ცას.

იანვრის საშინელი ყინვები იდგა. ობსერვატორიის მთავარ ტელესკოპთან ღამის მორიგეობამ მოუწია ნიკას. დაკვირვების ცენტრალურ პუნქტში აკრძალული იყო გამათბობელი ხელსაწყოების ჩართვა, რადგან ოპტიკური ღინზები შეიძლებოდა დაორთქლილიყო, რაც გააძნელებდა მნათობებზე დაკვირვებას.

ნიკას ცხვირის ტყავის ქურქი ეცვა. ყურებიანი ქუდი მატყლის შარფით ჰქონდა ორმაგად შემოხვეული ისე, რომ მხოლოდ ცხვირი და თვალები უჩანდა. ნაბდის ჩექმებში ჰქონდა ჩაყოფილი შალის ორმაგი წინდებით დათბუნებული ფეხები. მაღალ სავარძელში მოხერხებულად იჯდა და ოკულარში იჭყიტებოდა გამუდმებით.

ღამის ცაზე კი უკვე მერამდენე ათასჯერ ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა და ქრებოდა ნიკასთვის კარ-

გად ცნობილი სურათები, თარგები, განლაგებები, მოხაზულობები და მოძრაობები. მოსახეზრებელიც კი იყო ნიკა ბადრიძესთვის ყოველდღე ამის ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში ყურება, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა და რაიმე ახლის აღმოჩენის იმედი ამოძრავებდა მას და ისიც მთელი არსებით დაძაბული განაგრძობდა დაკვირვებას. ცხვირის წვერით გრძნობდა ყინვას, თორემ ტანზე არ სციოდა, პირიქით, ისე იყო შეფუთული, რომ სცხელოდა კიდევ. უწყვეტმა დაძაბულობამ, ზედმეტად-შემთბარმა სხეულმა და სიმარტოვემ თავისი გაიტანა და ნიკა ბადრიძეს ტკბილად ჩაეძინა. ცაზე კი ყველაფერი ისე იყო, როგორც მრავალი წლის განმავლობაში.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა რაღაც შინაგანმა მძლავრმა ბიძგმა გამოადვიდა ჩაძინებული ასტრონომი. ჩააშტერდა ოკულარს და თითქოს გაშეშდაო. უცბად დაიბნა და ვერ მიმხვდარიყო თუ სად იმყოფებოდა. თვალელები მძლავრად მოიფშენიტა, შეჯანჯღარდა მთელი სხეულით და ისევ ოკულარს ეცა. მისთვის ზედმიწევნით კარგადცნობილ ვარსკვლავთა ჯგუფი ისე აღარ გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის. თვალეებს არ უჯერებდა; მის წინ რაღაც საოცრება ხდებოდა. ვარსკვლავთა ჯგუფის განლაგებაში რაღაც შეცვლილიყო და ნიკასთვის უკვე ცხადი გახდა, რომ აღმოჩენასთან ჰქონდა საქმე. განსაკუთრებული სიბრწყინვალით გამოირჩეოდა ჯგუფის განლაგებაში შეჭრილი ახალი ვარსკვლავი. ნიკა საბოლოოდ გამოერკვა და მძლავრად ჩამოჰკრა რკინის ხელკეტი აივანზე ჩამოკიდებულ რელსის ნაჭერს, რაც ნიშნავდა საგანგებო სიტუაციას. ურტყამდა და ურტყ

ამდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახლებში ანთო შუქი, ახმაურდა დაბა აბასთუმანი, ხალხის ნაკადი დაიძრა ობსერვატორიისკენ. შიგნით კი ნიკას მეგობარი მეცნიერ-მუშაკები აქეთ-იქით ასკდებოდნენ, დარბოდნენ და ჩქარობდნენ, რომ სურათი გადაეღოთ ახალი ვარსკვლავისთვის. აღმოჩნდა, რომ საამისოდ არ იყვნენ მომზადებული. ნიკა ტელესკოპს არ შორდებოდა და გაჰკიოდა – ჩქარა, ჩქარა, არ გაგვასწროსო. როგორც იქნა მოძებნეს ფირი, გააწყვეს აპარატურა და „ახლადშობილს“ გადაუღეს რამდენიმე სურათი.

მალე გამოჩნდა ობსერვატორიის დირექტორიც. იგი ტანისამოსის სწორებით, სასწრაფოდ შევარდა მთავარ დამკვირვებელ სათავსოში, ოკულარს ჩამოაშორა ნიკა და მთელი არსებით ჩააშტერდა ღამის ცას.

ბევრი გადაიდეთ, ყოველი წამი დააფიქსირეთ, არ გაგეცეთ, ყოჩაღად იყავით, – გაიძახოდა ხმამაღლა.

არავინ იცოდა, რამდენ ხანს დარჩებოდა ახალი ვარსკვლავი ხილულ არეში, ან გამოჩნდებოდა კიდევ ოდესმე?! არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. მისი შესწავლა და ყოველმხრივი გამოკვლევა ჯერ წინ იყო და ეს მისია, პირველ რიგში, თავის თავზე უნდა აეღო ნიკა ბადრიძეს, რომლის ცხოვრებაშიც დაიწყო ახალი და ისტორიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი.

აურზაურში, ხმამაღალ აღტაცებულ შეძახილებში, მილოცვებსა და ხევენა-კოცნაში თავს დაათენდათ ობსერვატორიის გარშემოშეყრილ დაბა აბასთუმნის მაცხოვრებლებს და ობსერვატორიის მეცნიერ-მუშაკებს. ამასობაში ცა განათდა და „ახლადშობილი“ ვარსკვლავი

უხილავი გახდა სხვა ვარსკვლავებთან ერთად.

არნახული ზეიმი სუფევდა აბასთუმანში. თბილისიდან ჩავიდნენ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები და ობსერვატორიის თანამშრომელთა ნათესავ-მეგობრები.

სამი დღე გრძელდებოდა ქეიფი. ბოლომდე დაილია, თუკი რამ სასმელი არსებობდა აბასთუმანში და მის მახლობლობაში არსებულ მაღაზიებში თუ კერძო მარნებში.

ბოლო არ უჩანდა მილოცვებს, სადღეგრძელოებს, ცეკვა-თამაშს, სიმღერას და კეთილ სურვილებს. მთელი აბასთუმანი ერთ დიდ სუფრად იყო გადაშლილი დათოვლილ და მოყინულ ტყიან გორაკებზე.

მხოლოდ მეოთხე დღეს გაახსენდათ, რომ საჭირო იყო, დაკანონებული ტრადიციის შესაბამისად, ტელეგრამის გაგზავნა საერთაშორისო ცენტრში, რათა ახალი ვარსკვლავის აღმოჩენის ფაქტი დაფიქსირებულიყო ქართველი ასტრონომის სახელზე.

თავში შემოირტყეს ხელი – ეს რა დაგვემართაო და მოამზადეს ყველა მასალა. გააგზავნეს ტელეგრამა და დაურთეს საჭირო მასალებიც.

ორი დღის შემდეგ მიიღეს პასუხი: „დიდად ვაფასებთ თქვენს შრომას და წარმატებას, მაგრამ ვარსკვლავის აღმოჩენის სტატუსი მიეკუთვნება გერმანელ ასტრონომს, რომელმაც ათი წუთის შემდეგ შეგვატყობინა ახალი ვარსკვლავის დაბადება. პატივისცემით, საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი“.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გერმანელმა ასტრონომმა ახალი ვარსკვლავი სამი საათით გვიან შეამჩნია, ვიდრე ნიკა ბადრიძემ.

ბურთულა ჩაი



იაპონელებმა და ჩინელებმა შექმნეს ჩაის მზა პროდუქციის ახალი სახეობა ე.წ. ბურთულა ჩაი. ჩვეულებრივი ჩაისაგან, რომელსაც წვრილი, დაგრეხილი ჩხირების ფორმა აქვს, ახალ სახეობას ჰქონდა დაგრეხილი პატარა ზომების ბურთულების ფორმა (მრგვალ-მარცვლოვანი) და გამოირჩეოდა საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ბურთულა ჩაიმ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

საბჭოთა კავშირმა ყურები ცქვიტა – როგორ უნდა გვაჯობონო და გადაწყვიტა სასწრაფოდ შეექმნა ანალოგიური, ოღონდ უფრო უკეთესი ხარისხის ბურთულა ჩაი.

როგორც ჩაის წარმოებაში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას, საქართველოს, გამოეყო უზარმაზარი თანხა. პრობლემის გადაწყვეტა, ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დირექტივით, დაევალა დაბა ანასეულის (ოზურგეთი, ყოფილი მახარაძე) ჩაის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტს.

შეიქმნა მეცნიერ-მუშაკთა (ბიოლოგები, ეკონომისტები, ტექნოლოგები, დამპროექტებლები, აგრონომები, კონსტრუქტორები, ტიტესტერები...) ოცდაათკაციანი სამუშაო ჯგუფი და დაიწყო საქმე.

სამუშაო ჯგუფის ლიდერთა შორის იყო გამოცდილი მკვლევარი და გამომგონებელი შარკოვსკიც, რომელიც მაღალი მეცნიერული აზროვნების გარდა, გამოირჩეოდა სხარტი გონებით, კლასიკური მუსიკის ცოდნით, მხატვრობის ნიჭით და თვითმყოფადი იუმორით. შარკოვსკის საზოგადოებაში ყოფნა სიამოვნებას ჰგვრიდა ყველას. ამასთან, მისგან ყოველთვის მოელოდნენ რაღაც საინტერესო სიურპრიზს.

პრობლემის გადაწყვეტის პროცესი მდორედ მიმდინარეობდა. ექვსი თვე გავიდა და სასიკეთო არაფერი ჩანდა. ფული იხარჯებოდა, მაგრამ პერსპექტივა არ ისინჯებოდა. მეცნიერ-მუშაკები არხეინად, რომ იტყვიან, ჰარი-ჰარალთი იხარჯებოდნენ, აქაოდა წელიწადნახევარი კიდევ გვაქვს და რაღაცას მოვიფიქრებთო. „ზემოდან“ საგანგაშო სიგნალი გაისმა და ინსტიტუტის დირექტორმა შენიშვნაც მიიღო.

გახშირდა თათბირები, მომრავლდა შენიშვნები და საყვედურები, იმატა ფუსფუსმა და უძილო ღამეე-

ბმა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში მიიწურა ერთი წელი. ისახებოდა სახსრების უმიზნო და არაეფექტური ხარჯვის პერსპექტივები, რაც კარგს არაფერს უქადდა მეცნიერთა ჯგუფს და პირადად ინსტიტუტის ხელმძღვანელობას.

ისევ თათბირები, ისევ მზარდი დაძაბულობა, ისევ უაზრო ფუსფუსი, წარუმატებლობის ერთმანეთზე გადაბრალება და ბოლოს სრული უიმედობაც. სწორად ამ სიტუაციაში ხმა გავარდა დაბა ანასეულში, რომ შარკოვსკიმ მიაგნო პრობლემის გადაწყვეტის გზას და ტექნოლოგიაც დაახუსტა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების ესკიზური პროექტებიც შექმნაო.

საერთო სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას, ერთმანეთს ულოცავდნენ და ემადლიერებოდნენ ღვაწლმოსილ ინჟინერს, რომ სირცხვილისგან იხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

დირექტორმა სასწრაფოდ დანიშნა სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომლის წინაშეც უნდა წარმსდგარიყო თავისი სიახლით ინჟინერ-გამომგონებელი შარკოვსკი.

აუდიტორიაში ტევა არ იყო. მეცნიერ-მუშაკთა გარდა, გაფართოებულ სხდომას, გამონაკლისის სახით, ესწრებოდნენ დაბა ანასეულის რიგითი მაცხოვრებლებიც. მოწვეულნი იყვნენ სამინისტროს ხელმძღვანელებიც. ამადლებული განწყობა სუფევდა დარბაზში. შარკოვსკი არ ჩანდა. ინსტიტუტის დირექტორი ნერვიულობდა, სახე ასწითლებოდა და წამდაუწუმ წყალს

სვამდა.

აი ისიც. გამოჩნდა სამეცნიერო პრესტიჟის „გადამრჩენიც“. ილლიაში დიდი გრაგნილი ჰქონდა გაჩრილი. ჩვეული, სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა ტრიბუნისკენ და როგორც ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

დირექტორი წამოდგა, წელში გასწორდა და ომახიანად მიმართა გამომგონებელს – გთხოვთ მოგვახსენოთ თქვენი გამოგონების შესახებ.

შარკოვსკიმ მოიმარჯვა ჭიკარტები, გაშალა გრაგნილი და სწრაფად მიამაგრა დაფაზე.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელობისგან ხმა ჩავარდნოდან და გაშტერებული თვალებით შესცქეროდნენ დაფაზე გაკრულს. ინსტიტუტის დირექტორს გული ისე წაუვიდა, რომ ხმის ამოდება ვეღარ მოასწრო.

წარმოდგენილ ესკიზებზე კი წვერებიანი თხა მისდგომოდა ჩაის მწვანე ფოთლით დახუნძლულ ტრანსპორტიორს, გემრიელად შეექცეოდა ძვირფას ნედლეულს, ღეჭვითა და ცოხნით მიაქანებდა კუჭისკენ და გადამუშავების შემდეგ მრგვალი ბურთულების სახით გამოჰყოფდა ბუნებრივი გზით.

შარკოვსკი იმავე წუთში დაითხოვეს თანამდებობიდან, დირექტორი კი დააქვეითეს რიგით ლაბორანტამდე.

აღოეს გამყიდველები

ადრიანი გაზაფხული იდგა. ძველი თბილისის ერთ-ერთი ხალხმრავალი უბნის სადალაქოსთან, დილის მზით-გამთბარ კედელს ზურგით მიყრდნობოდა ორი შუახნის მამაკაცი და გამვლელ-გამომვლელებს მუდარის მზერით უთვალთვალებდა.

დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი და ალაგ-ალაგ დაკერებული ტანსაცმელი ეცვათ. წვერგაუპარსავეები, აბურძნული თმებითა და მოღელილი გამხდარი მკერდით – საცოდავი სანახავეები იყვნენ. ჩახლექილი ხმით საუბრობდნენ და თან ასანთის ღერით ეჩალიხებოდნენ ფრჩხილებქვეშ ჩაკირულ მრავალდღიან ჭუჭყს.

არაერთხელ მდგარან აქ და ბედნიერი შემთხვევის მოლოდინიც ბევრჯერ გამართლებიათ, როცა სადალაქოში მავანი ფულიანი შესულა და მათთვისაც უჩუქებია „პახმელიაზე“ გამოსასვლელი. ახლაც იდგნენ და ელოდნენ.

– დღეს რაღაც ცუდი დღეა, თქვა ერთმა და მოკანკალე ხელებით ჯიბეების ქექვა დაიწყო.

– უნდა გავუძლოთ, ლოდინის მეტი რა დაგვრჩენია, – გამოეპასუხა მეორე.

– მე მეტი აღარ შემიძლია, ძალიან ცუდად ვარ, რაღაც უნდა ვიღონოთ, – თქვა პირველმა და ნაბიჯი გადადგა ტროტუარზე მომავალი ახალგაზრდისაკენ: „თუ შეიძლება სიგარეტი მომაწვეინეთ“. კი ბატონოო, უთხრა ახალგაზრდამ და ღია კოლოფი გაუწოდა. „ერთსაც ამოვიღებ ძმაცაცისთვის“ – შეევედრა გამვლელს და ჭუჭყიანი თითებით და ფრჩხილებით გადაქექა კოლოფის

შიგთავსი.

– სიგარეტი რას გვიშველის... ვის მივადგეთ, არავინ გაგვიმართავს ხელს, ყველასი რაღაც გემართებს... მადლიანი „ბიძაც“ არავინ ჩანს, ლამის გავეციუდე, ისე ცუდად ვარ...

– მოდი ვცადოთ, იქნებ გავეიდოთ რამე.

– მე აღარაფერი დამრჩა სახლში, ყველაფერი გავყიდე; გუშინ რომ ჩარჩოიანი სურათი მივასყიდეთ ვიღაც პროფესორს – ის იყო ბოლო, აღარაფერი მაქვს ისეთი...

– სახლში, დიდ ქოთანში, ერთი მცენარე იზრდება, მგონი ალოეს ეძახიან, გრძელი ხმალივით ფოთლები აქვს.

– ყვავილი ვის რად უნდა, თუ ძმა ხარ; სხვა მოიფიქრე რამე...

– ამბობენ, სამკურნალო თვისებები აქვსო...

– ჰოო... მიდი, გამაიტა...

– გამოვიტან, მაგრამ ჩვენ უბანში ვერ გავეიდით, ბაზარში უნდა წავიდოთ...

– წავიდეთ...

საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელში, ორივე მხარეს, უამრავი ჯიშისა თუ ფერის მრავალნაირი ყვავილი იყიდებოდა, სათითაოდ და თაიგულეზად შეკრული. რას არ ნახავდით აქ. მყიდველიც ბევრი იყო და გაცხოველებული ვაჭრობდნენ გამყიდველი ქალები. მორცხვად აიტუზნენ ჭიშკართან და ხან ერთს ეჭირა ქოთანი ხელში და ხან მეორეს. მთხოვნელი თვალებით შესცქეროდნენ შემსვლელ-გამომსვლელს და ელოდნენ „თავის“ კლიენტს.

როგორც იქნა, ერთი ჭადაროსანი ქალბატონი შეჩერდა მათ წინ.

– რა ღირს თქვენი ალოე?

გაოცდნენ, ხმა ვერ ამოიღეს, არ ჰქონდათ მოფიქრებული, თუ რა უნდა დაეფასებინათ გასაყიდი საქონელი.

– ოცი მანეთი უნდა, დედიჯან, კაპიკი არ დააკლდება, – ჩახლექილი ხმით გამოეპასუხა ქალბატონს უფრო გამხდარი და ჭიგოსავით აწოწილი.

– ძალიან ძვირია... ისე, რამდენი წლისაა თქვენი ალოე. – არ ეშვებოდა ჭადაროსანი ქალბატონი.

ახლა კი სულ დაიბნენ ალოეს გამყიდველები, იფიქრეს და ვერ მიხვდნენ, რატომ ინტერესდებოდნენ ალოეს ასაკით.

– სულ სამი წლისაა, ქალბატონო. ნორჩი და ქორფაა, – თქვა იმან, რომელიც „ძალიან ცუდად“ იყო და ჟანგიანი, ოღრო-ჩოღრო კბილები გამოაჩინა.

– არ გამოდგება, მას ჯერ კიდევ არ აქვს შექმნილი სამკურნალო თვისებებით, – საქმის ცოდნით წარმოსთქვა ქალბატონმა და გასცილდა იქაურობას.

– ეს რა ჰქენი, როგორ დააფროთხე კლიენტი?!

– რა ვიცი, აბა, რა მეპასუხა, საიდან ვიცი რამდენი წლისაა.

– ალბათ, მცენარეებიც ადამიანებზევით წლების განმავლობაში იძენენ საუკეთესო თვისებებს, ჰოდა, რაკი ადამიანები ორმოცი წლის ასაკში ბრძენდებიან, იქნებ...

– რა ღირს თქვენი ალოე? – მიუახლოვდა მათ ხანშიშესული მამაკაცი, მეუღლისთვის მინდა სამკურნალოდ...

– იაფად მოგცემთ, უარს როგორ გეტყვით... – აწყობილ ხმაზე მიაგებეს ვაიგამყიდველებმა, – სულ ოცი

მანეთი დაგიჯდებათ, თუ გნებავთ სახლამდის წამოგიღებთ.

– ისე, რამდენი წლისაა თქვენი ალოე?

– ასე, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნება, კარგი ჯიშისაა.

– უჰ, გადაბერებული ყოფილა, თორემ ფასი არ მეძვირება, – ჩაიბურტყუნა მამაკაცმა და ბაზრის სიღრმეში შეაბიჯა.

საგონებელში ჩავარდნენ ალოეს გამყიდველები. რა ექნათ, აღარ იცოდნენ.

ყვაილების გამყიდველი ქალები აღმაცერად უცქერდნენ მათ. მიხვდნენ, ვინ იყვნენ და ხან დასცინოდნენ და ხანაც შეცოდებით გამამხნეველ რეპლიკებს ესროდნენ.

– შეხედეთ, ერთი, ამ საცოდავებს, რას ჰგვანან...

– კაცი რომ ყვაილების გაყიდვას დაიწყებს, აბა, ის რა კაცია...

– ნეტა, მქონდეს ნავაჭრი, რომ მიუუგდო და ჩაცეცხლონ მყრალი არაყი და ა.შ.

ბოლოს ერთი ქალი მიუახლოვდა და მათი გარეგნული იერით შეძრწუნებულმა მიმართა:

– თქვე საცოდავებო, არა გრცხვენიათ, სად მოიპარეთ, რომ ჰყიდით; თქვე უქნარებო. შრომა გეზარებათ, ხომ... იმდენი, ხომ მაინც უნდა იცოდეთ, რომ ალოე ექვსი-შვიდი წლიდან იძენს სამკურნალო თვისებებს... ტყუილი ხომ მაინც უნდა გეხერხებოდეთ, თქვე ბედოვლათებო.

გაუხარდათ ალოეს გამყიდველებს;

– სადაც ორჯერ ვთქვით ტყუილი, ერთიც ვცადოთ,

– თქვა აწოწილმა.

– ვთქვათ და ვთქვათ, რა მენაღვლება, ემანდ დაბადების მოწმობა არ მოსთხოვონ ჩვენს ალოეს, – გამოეპასუხა ნიშნისმოგებით მეორე.

დიდხანს იღვნენ მკერდზე ქოთანმიყუდებული. არადაადარ გამოჩნდა ალოეს კლიენტი. ის იყო იმედგაცრუებულებმა ხელი ჩაიქნიეს და უბანში დაბრუნებას აპირებდნენ, როცა ერთი მაღალი ახალგაზრდა, რომელსაც თვალები ეშმაკურად უდიმოდა, მიუახლოვდა მათ, რაღაცნაირი ამრეზით შეათვალიერა და გამომწვევი კილოთი და ცინიზმით მიმართა:

– მეზობელი ავადმყოფი ქალისთვის მინდა ეს ალოე, რამდენი წლისაა და რამდენი უნდა ჩაგაცეცხლოთ, თქვე არამზადებო, თქვენა...

– შვიდი წლის წინ ჩემი ხელით ჩავრგე ამ ქოთანში, – დაიწყო აწოწილმა.

– ყოველდღე წყალს გუსხმადით შვიდი წლის განმავლობაშიო, – ჩაერთო მეორე. ახლა გამხმარი ფოთლების შეცლა, მიწის გაფხვიერება, შეწამვლა, აგრონომთან კონსულტაციები...

– კარგით, მორჩით ტყუილების ღაპარაკს, აი, თქვენ ათი მანეთი და მოვრჩეთ ვაჭრობას, – მოჭრით უთხრა მაღალმა ქერათმიანმა ახალგაზრდამ და წითელი თუმბიანი ჩასჩარა მუჭაში.

ხმა ჩაუვარდათ მუცელში ალოეს გამყიდველებს სიხარულისგან – როგორც იქნა გვეშველაო.

გამარჯვებულის იერით გადახედეს ყვავილების გამყიდველ ქალებს და ფაცი-ფუცით გაემართნენ გას-

ტრონომისკენ – იქ ეგულებოდათ არაყი „სტალინნაია“.

– ხომ მაგრა მოვატყუეთ ის აყლაყუდა, ჰა...

– აბა, შენ რა მაგარი ყოფილხარ, როგორ მოახერხე ამდენი ტყუილის თქმა...

– ეჰ, ძმაო... ხომ გაგიგონია „გაჭირვება მიხვეწე და...“

– არა და რა მაგრად ვაჭამეთ; იმ სულელმაც დაიჯერა; სადაც თავისი დაიტრაბახოს, იქ ჩვენიცა თქვას, – ხითხითებდა აწოწილი.

– რაც მართალია, მართალია – მაგრად მოვატყუეთ; კიდევ კარგი ამ უბნელები არ ვართ, არსად გადაგვეყაროს...

საუბარ-საუბრითა და ძუნძულით შევიდნენ გასტრონომში, ორი „სტალინნაია“, ორი „კილკა ტომატში“ და შავი პური მოითხოვეს და უღვაშებიან, ბრვე აგებულების გამყიდველ კაცს ხელისკანკალით გადააწოდეს დაჭმუჭნული წითელი თუმნიანი.

– ისე, რა მაგრად მოვატყუეთ ის აყლაყუდაო, – ერთი კიდევ ჩაიქირქილა აწოწილმა და რატომღაც გამყიდველის უღვაშებს მიაპყრო გამოშტერებული მზერა.

გამყიდველმა ზიზლით აათვალიერ-ჩაათვალიერა კლიენტები და მერე წითელ თუმნიანს ჩააშტერდა.

– უი, თქვე უვარგისებო, თქვე დამპლებო, ყალბი ფული გინდათ შემომამჩერთ; ვინ გინდათ მოატყუოთ, მე?! აბა, გაეთრიეთ აქედან, მანამ ლამაზები ხართ, მე თქვენი... – დაიღრიალა უღვაშებიანმა და მოჭმუჭნული წითელი თუმნიანი ესროლა თავპირისმტვრევით გარეთ გავარდნილ ალოეს გამყიდველებს.

რეჟიმის ექო

პატიოსანი და განათლებული მშობლების ოჯახში იზრდებოდა გურამი. ადრეული ასაკიდან დაეწაფა წიგნებს. მისგან წაუკითხავი არაფერი რჩებოდა. ახლობლები დიდ სამეცნიერო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ და ასეც მოხდა – საშუალო სკოლისა და უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და უკვე ორმოცი წლის ასაკში თვალსაჩინო მეცნიერად ჩამოყალიბდა. მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და განაგრძობდა ინტენსიურ მოღვაწეობას ახალ-ახალი მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობად.

ეს ის დრო იყო, როცა კომუნისტებმა ისროლეს კიდევ ერთი ღოზუნგი „მეცნიერება წარმოებას“ და დაიწყო თეორიული ცოდნით შეიარაღებული კვალიფიციური სამეცნიერო კადრების გადანაწილება სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე. გურამიც მოაყოლეს ამ ტალღაში და როცა მან თავის შეკავება სცადა, მკაცრად მიუთითეს: „ჩვენ, კომუნისტებს არაფრის უნდა გვეშინოდეს; თუ გაგიჭირდება, დაგეხმარებით, აქ არა ვართ?!“

გურამი მაინც ყოყმანობდა, მაგრამ მეგობრებმა ურჩიეს და ისიც შეუდგა ერთ-ერთი ქარხნის დირექტორობას.

იმ წლებში ტოტალური ხასიათი ჰქონდა მექრთამეობას, კორუფციის ჭაობში ღრმადღაფლული ქვეყა-

ნა სულს დაფავდა, იყიდებოდა ყველაფერი: ატესტატი, დიპლომი, ცნობა, ამონაწერი, დასკვნა, მანქანის მართვის მოწმობა, თანამდებობა და სინდის-ნამუსიც კი.

გაუჭირდა ქარხნის მართვა გურამს. ქრთამს არც იღებდა და არც აძლევდა. ჩამოიშალა წლების განმავლობაში მოქსოვილი ადებ-მიცემის ვერტიკალი. ამას მოჰყვა ნედლეულის მოწოდების ხელოვნური შეფერხებები და ბუნებრივია – გეგმის სისტემატური შეუსრულებლობა.

გურამი კი მაინც განაგრძობდა მოძველებული ქარხნის მოდერნიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების დახვეწას, ახალი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიის მოწყობას და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვას, რადგან ფიქრობდა, რომ სხვანაირად ვერ უზრუნველყოფდა პროდუქციის მაღალ ხარისხს და მის კონკურენტუნარიანობას.

მაგრამ ვინ აცალა?!

ხან ბიუროს სხდომაზე აკრიტიკებდნენ, ხან სახალხო კონტროლის კომიტეტში იბარებდნენ, ხანაც საფინანსო განყოფილებაში „არიგებდნენ“ ჭკუას და ხან კი ტრესტის მმართველის კაბინეტში „წურავდნენ“ და მოძღვრავდნენ. უჩიჩინებდნენ: „საქმეს მიხედუ, შეეშვი მაგ მეცნიერებას, მიწაზე დაეშვიო“.

გაფუჭდა კაცი, დაუძძიმდა ხასიათი, გულჩათხრობილობა მოეძალა. აღარ იცოდა, რა ექნა. ამას ყოველივეს ისიც დაემატა, რომ რევიზიას რევიზია მოსდევდა; თავდაყირა დადგა ქარხანა. გადაწყვიტა განცხადება დაეწერა წასვლაზე, მაგრამ არ გაუშვეს – „ნუ იმიზეზებ

რაც-რაცაცებს, „საქმეს მიხედო“ მიხალეს უკმეხად და თან არაორაზროვნად უცაცუნებდნენ ერთმანეთს ცერა და საჩვენებელ თითებს.

საამქროების საქმოსნებმა კაცი მიუგზავნეს – „მიდი, დაარიგე, ასწავლე, როგორ მოიქცეს, თორემ ჩვენც დაგვლუპავს და თავის თავსაცო“.

გურამის სტუდენტობისდროინდელი ძმაკაცი აღმოჩნდა ის კაცი – ცნობილი ქუთაისელი საქმოსანი.

მთელი ღამე ისაუბრეს ოჯახურ სუფრასთან. ის ღამე გახდა გარდამტეხი გურამის ცხოვრებაში. დაიწყო გურამისათვის შინაგანად ყოვლადმიუღებელის დასაწყისი. ერთი თვის შემდეგ, როცა აიღო, რაც „ეკუთვნოდა“ და ყველას ჩამოურიგა, ვისაც რა „ერგებოდა“ – ძლივს მიაღწია სახლამდე. ჯერ შეაცია და მერე კი სიცხემ აუწია კრიტიკულ ზღვრამდე. სამი დღე ლოგინში იწვა. ექიმებმა ნერვიული სტრესის დიაგნოზი დასვეს, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდათ გამომწვევ მიზეზებზე.

მაღე ყველაფერი „თავის ადგილზე“ დაჯდა. ორი წლის განმავლობაში გურამიმ შეიძინა ახალი სახლი და გააფორმა ბიძაშვილის დეიდაშვილზე. სიმამრს „აყიდინა“ მანქანა. მამა-პაპისეული ავეჯი შეცვალა პრესტიჟული იმპორტულით. ოჯახში მომრავლდა ძვირფასეულობა. წყნეთში დაიწყო აგარაკის მშენებლობა. ყოველთვე იძენდა მოდურ ფრანგულ კოსტიუმს. თბილისის „დინამოს“ დაჰყვებოდა საფეხბურთო ბატალიებზე. კვირაში ორჯერ მაინც დროს ატარებდა საუკეთესო რესტორნებში და ა.შ.

საოცარი მეტამორფოზა განიცადა გურამის პიროვნებამ. ადრე საოცრად კეთილი, თავმდაბალი და პატიოსნებითა და მოსიყვარულე ხასიათით ცნობილი გურამი დავიწყებას მისცემოდა. „ახალი“ გურამი უჩვეულოდ მკაცრი და უხეშიც კი გახდა თანამშრომლების მიმართ; დასჩემდა სიხარბე და მომხვეჭველობა; მოეძალა ცინიზმი; გათამამდა და გაყოყონდა ზომაზე მეტად; ზემოდან დაუწყო ყურება ყველას; აითვისა ლაქუცისა და მლიქვნელობის ხელოვნება; ბოლო დროს მის ქმედებებში თავი იჩინა ღვარძლისა და სიბოროტის ნიშნებმაც კი.

ღირექტორობის სამი წლის თავზე ტრესტის მმართველად დაუნიშნეს ვინმე ევტიხ კალისტრატოვიჩი (ამ დროისთვის გურამსაც „პეტროვიჩად“ მიმართავდნენ, რაც ძალიან მოსწონდა).

თავიდანვე აითვალწულა ახალმა მმართველმა გურამ პეტროვიჩი. რაღაც არ მოსწონდა გურამის ქმედებებში; განსაკუთრებით კი აღიზიანებდა მისი თავაწყვეტილი სითამამე და ზედმეტი თვითდაჯერებულობა. არ იკმარა ტრადიციული „სტავკა“ და გურამს მოსთხოვა ყოველთვიური მისატანის გაორმაგება. გურამიმ უარი სტკიცა.

არ მომიტან და განცხადებას მომართმევ წასვლაზეო, მკვახედ მოუჭრა ევტიხ კალისტრატოვიჩმა.

სამი წლის წინ რომ ეთქვათ გურამისთვის – განცხადება დაწერე და წადიო – სიამოვნებით დათანხმდებოდა, მაგრამ ახლა?!

„მადა რომ ჭამაში მოდის“ – კარგად იცოდა გურამ-

მიმ. ევტიხ კალისტრატოვიჩი ემუქრებოდა, მაგრამ გურამს იმედი ჰქონდა იმ ადამიანების, ვისთანაც ყოველთვის მისატანი მიჰქონდა და ფიქრობდა „ფეხებსაც ვერ მომჭამს“.

ქარხანაში ისევ მოუხშირეს რევიზიებმა. ერთი ჯგუფი მიდიოდა, მეორე მოდიოდა. სამ თვეში ხუთჯერ დალუქეს საამქროები, საწყობები და ბუღალტერი; რიტმიდან ამოვარდა წარმოება. ისევ ბიუროს სხდომები და ისევ კონტროლის კომიტეტში გამოძახებები, მუქარები, რჩევები და მითითებები. ისევ გაწყდა აღებ-მიცემობის ვერტიკალური ჯაჭვი, რაც კარგს არაფერს უქადდა დირექტორს.

გურამიმ მოიკრიფა ძალ-ღონე, დაიმორჩილა ემციები და სამი თვის მისატანი ერთად მიაერთა კალისტრატოვიჩის ძველი „სტავკით“, თან დააყოლა – მოგიტანე და კვლავაც მოგიტან, როგორც ადრე მომქონდა და შემეშვი, უფრო მაღალი „სტავკის“ მომტანი არ ვარო.

არ შეგეშვები და ტყუილად იმედი ნუ გექნება. ხვალ საღამოს შვიდ საათზე მომიტან ერთი ამდენს კიდევ, სხვაგვარად არ იქნება, იქ, „ზემოთ“ ასე თხოულაობენო, – დამარცვლა კალისტრატოვიჩმა და საჩვენებელი თითი ჭერისკენ ასწია. ახლა თავისუფალი ხარ, მეტი არ მცალია.

კარგიო, გამოსცრა კბილებში გურამიმ და დაბოლმილ-გაბორტებული გავარდა ქუჩაში.

იმ საღამოს უშიშროების სამსახურში შეიარა გურამიმ. კარგა ხანს დაჰყო იქ. გვიან ღამით დაბრუნდა სახლში, მაგრამ ვეღარ დაიძინა ერთიანად დაძაბულმა

და აფორიაქებულმა. ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა გაბოროტებული.

კაბინეტში დანიშნულ დროზე მიუტანა გურამიმ, რასაც მისგან მოითხოვდა მმართველი და ჩვეულები-სამებრ ჩადო კალისტრატოვიჩის მიერ, ვითომდა სხვა მიზნით გამოწვეულ უჯრაში. არც დამშვიდობებია, ჩუმად გავიდა მოსაცდელში და იქ დაყოვნდა.

ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, როცა უშიშროების სამსახურის მუშაკები სწრაფად შეცვივდნენ კაბინეტში და მოულოდნელად თავს წაადგნენ ფულის დათვლაში გართულ კალისტრატოვიჩს (ფულის დათვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მმართველს; ხშირად უთქვამს – მწვადის სუნს ფულის სუნი მირჩევნია).

შეკვრის შუაგულიდან ამოიღეს ერთი ასმანეთიანი და ცხვირწინ აუფრიალეს. ფულზე ვიდაცას ფლომასტერით წაეწერა „შხამად შეგერგოსო“.

მისაღებში მჯდომმა გურამ პეტროვიჩმა დაინახა როგორ შეცვივდნენ კაბინეტში სასწრაფო დახმარების ექიმები.

ერთი კვირა გააჩერეს ევტის კალისტრატოვიჩი რეანიმაციის განყოფილებაში. ერთი თვის შემდეგ კი გაასამართლეს და თხუთმეტი წლით უკრეს თავი შორეული მაგაღანის მაღაროებში. კიდევ ერთი თვის შემდეგ კი ტრესტის მმართველად მინისტრს წარუდგინეს გურამ პეტროვიჩის კანდიდატურა – გამოცდილია და წარმატებული; ქიციც იცის და ქიცმაცურიცო.

ვნახოთო, ორაზროვნად ჩაილაპარაკა მინისტრმა და იქვე, კოლეგიის სხდომაზევე მისცა გურამს რამდენ-

იმე საქმიანი რჩევა.

ათი წელი იმუშავა გურამ პეტროვიჩმა ტრესტის მმართველად. ამ ხნის განმავლობაში ერთი უბრალო შენიშვნაც არ მიუღია „ზემოდან“; გავლენიან პიროვნებად იქცა ქვეყანაში, შინაურ კაცად იქნა მიღებული ელიტარულ ოჯახებში. უამრავი ადამიანი სცემდა პატივს და ისიც იფერებდა.

ხარბია ადამიანის გული. მინისტრობა ჩაიფიქრა და დიდიხანია შინაგანადაც ემზადებოდა. თუმცა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მზადება არ იყო საკმარისი. არც ის ავიწყდებოდა, რომ მინისტრობას არ იძლევიან „ლამაზი თვალებისთვის“ და რომ საუბარი იქნებოდა წარმოუდგენლად დიდ თანხაზე.

ორმოცდაათ წელს მიღწეული გურამ პეტროვიჩი ზომაზე მეტად გასუქდა. ორმაგი ღაბაბი გაუჩნდა და ღიპიც ქამარზე გადმოეკიდა. ბოლო დროს სუნთქვა უჭირდა და კიბეებზე ასვლისას ორთქლმავალივით ქშინავდა. ექიმებმა რამდენჯერმე დაუნიშნეს გულის სამკურნალო წამლები, რადგან გაუხშირდა არითმიის ფაქტები.

განსაკუთრებული სიხარბე დასჩემდა ყოველდღიურ ცხოვრება-ყოფაში. არაფერს და არავის უწევდა ანგარიშს. თავაწყვეტილი ჟინითა და „ხელეჩოს“ პრინციპით აგროვებდა სამინისტროდან „დაკანონებულ“ თანხას და არაფერზე იხევდა უკან. რომ იტყვიან, ტყავს აძრობდა დაქვემდებარებაში მყოფ წარმოებათა ხელმძღვანელებს. ყოველთვიურად ახალ-ახალ, გაზრდილ „სტავკებს“ მოითხოვდა და ყველას „გაფუჭებით“ ემუქრებოდა.

მობეზრდათ „სტავკის“ მიმტანებს გურამ პეტროვიჩის გაუმადღრობა და აღვირახსნილი გამომძალველობა. გადაწყვიტეს, როგორმე თავიდან მოეშორებინათ კაცი-მმართველი, რომელსაც, ბოლო დროს, წურბელაც კი შეარქვეს.

სამართალდამცავ უწყებებშიც იმატა უკმაყოფილებამ – ისე აღარ მოაქვს, აღრე რომ მოჰქონდაო.

შაბათის დამე წყნეთის აგარაკზე გაატარა გურამ პეტროვიჩმა. კვირას, დილით აღრე, აქ უნდა მოეტანათ „მოსატანი“. ბუღბუღების სტვენა-სიმღერებში გაიღვიძა, სიამით გაიზმორა და აივანზე გავიდა. საოცარი სიწყნარე სუფევდა გარშემო. დიდი ქალაქის ხმაური ვერ აღწევდა სააგარაკო აპარტამენტებამდე.

ლამაზი ქვეყანა გვაქვსო – გაიფიქრა პეტროვიჩმა, ბანჯგვლიან მკერდზე ხელები მიისვ-მოისვა და ოთახში შევიდა.

სულ მალე ტელეფონმა დაიწკარუნა. ნაცნობი ხმა ატყობინებდა – ნახევარ საათში გეახლებითო.

ეს დასავლეთის ზონაში შევეკრიბეთ და მოგართვითო, უთხრა წელში ოდნავმოხრილმა მოსულმა და უნგრული ორნამენტებით მოვარაყებული მასიური მაგიდის სარკესავით პრიალა ზედაპირზე დადებული შეკვრისკენ მიუთუითა. თქვენი მინისტრობა ჩვენც გვაწყობსო, – გააგრძელა მომტანმა. ამდენი წელიწადია კარგად ვუგებთ ერთმანეთს და ღმერთის წყალობით არც მომავალში შევრცხვებითო.

ბოლო სიტყვები რაღაცნაირად გაწელა და დამარცვლა, მაგრამ გურამ პეტროვიჩის მისი ხმა აღარ ესმოდა;

მთელი არსებით დაძაბული და დახარბებული მიშტერებოდა მოტანილ შეკვრას და აღარც ის გაუგია, თუ როგორ გაიჯახუნა კარები დასავლეთის დესპანმა.

ეცა „დღვენს“, აკანკალებული ხელებით შეაგლიჯა შესაკრავები და მაგიდაზე მიმოიფანტა ასმანეთიანების ათეულობით შეკვრა.

გურამ პეტროვიჩი ხელების სწრაფი მოძრაობით ალაგებდა შეკვრებს და ხან ერთმანეთზე, ხან ერთმანეთის გვერდით, ხან წყვილწყვილად და ხანაც სათითაოდ, ისე როგორც ბავშვები ერთობიან ხოლმე ფერად-ფერადი კუბიკებით თამაშის დროს. რაღაცას დუდუნებდა და თან გუნებაში ანგარიშობდა – ერთი ამდენი აღმოსავლეთ ზონიდან შემოვა, ორი ამდენი დედაქალაქიდან, სამხრეთიდანაც წამოვა რაღაც ნაწილი და...

წლების განმავლობაში გამომუშავებულ ჩვევას ვერ უღალატა და ასმანეთიანების გადათვლა დაიწყო, თან წამდაუწუმ თითებს ინერწყვავდა. არც ბუღბუღების სტვენა-სიმღერა ესმოდა და აღარც გარემოს ლამაზი ხედები ახსენდებოდა. მთავარი წინ ედო და ამ მთავარს წარეტაცა მისი გონებაც და მეობაც.

უცვბ, რაღაც შინაგანმა, ძლიერმა ბიძგმა შეაზანზარა. მთელ ტანში შეახურ-შეაცხელა და გონებაც დაებინდა. წამით მოსწყდა რეალობას და სადღაც ბუნდოვან წარსულში გადაინაცვლა. მისუსტებული აზრით შემოირბინა მეხსიერების საკუჭნაოს კუთხე-კუნჭულები და გაშტერებული გაშეშდა, როგორც დამბლადაცემული. გადმოკარკლული თვალებით დაჰყურებდა ასმანეთიანს, რომელზედაც ფლომასტერით წაეწერათ – „შხა-

მად შეგერგოს“.

იცნო საკუთარი ხელწერა, მაგრამ რაიმე რეაქციის უნარი აღარ გააჩნდა. ოთახი დატრიალდა, თავდაყირა დადგა ყველაფერი. სავარძელში გაშხლართულს გონება საბოლოოდ მიებინდა. მერე ძლიერი ჩხვლეტა იგრძნო მკერდის არეში და მის სმენას მისწვდა ოთახში შევარდნილი „ობეხევის“ მუშაკების შეძახილები – ეს რა არის, შე უსინდისო, ეს რა არისო. სულ მალე კი, გურამ პეტროვიჩს აღარაფერი ესმოდა და ვერც რაიმეს გრძნობდა.

რეანიმაციის განყოფილების საჭიროება აღარ არსებობდა. გურამ პეტროვიჩის გვამი პირდაპირ ქალაქის პროზექტურაში გადაასვენეს.

ზუსტად იმ დღეს, თბილისის აეროპორტში ვაუიშვილებმა ჩამოასვენეს შორეული მაგადანის მადაროებში ხანგრძლივ პატიმრობაში გარდაცვლილი ევტის კალისტრატოვიჩის ცხედარი.

საქართველოს კალენდარზე იფურცლებოდა 1984 წელი.

ეპილოგის მაგიერ

„...არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი, ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“

(კ. თათარიშვილი, „უიარაღო“)

უნებლიე გამოსავალი

პეტრე პეტრიაშვილს ჟურნალისტური და სამწერლო მოღვაწეობის ორმოცზე მეტი წლის გამოცდილება ჰქონდა. მის საგაზეთო წერილებზე, რომ იტყვიან, ტაციაობა იყო გაზეთების რედაქტორების მხრიდან. თავად პეტრე უფრო მეტად იყო დაინტერესებული ორი თავისუფალი გაზეთით, რომლის რედაქტორებიც იყვნენ თამარი და ნიკო.

ამ გაზეთების რედაქციები სიამოვნებით და შეუფერხებლად აქვეყნებდნენ მის წერილებს და კარგ ჰონორარსაც აძლევდნენ; ისიც მათ უფრო ამარაგებდა საინტერესო მასალებით.

ბოლო დროს პეტრემ შეამჩნია, რომ ხსენებულ რედაქციებს შორის მეტოქეობა, თანდათან ლამის დაუნდობელ ანტაგონიზმში გადაიზარდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო იძაბებოდა ურთიერთობა თამარსა და ნიკოს შორის. ზურგსუკან დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ერთმანეთს. არ იშურებდნენ ღვარძლიან ეპითეტებს. პეტრე ხშირად ჩაგარდნილა უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ რა ექნა?!

ერთხელ თამარმა საყვედურნარევი კილოთი მიმართა პეტრეს: „რადაც, ამ ბოლო დროს დამივიწყე, წერილებს აღარ მაწვდი; გატყობ ჩემი გაზეთი აღარ მოგწონს და იმ ჯაგლაგ ნიკოს ამარაგებ მასალებით; არ დაგავიწყდეს – ჩემი გაზეთი ნამდ-

ვილი გაზეთია. აბა, ნიკოს გაზეთს ვინ კითხულობს; თუ გინდა, რომ პოპულარობა არ დაკარგო, პატივი ეცი ჩემს გაზეთს და რასაც მომაწვდი, ყველაფერს დაგიბეჭდავ, ჰონორარსაც გაგიზრდი, ოღონდ ნიკოს აღარ გაეკარო“.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო თამარ, მე ორივე გაზეთს დიდ პატივს ვცემ, ორივეს გულდასმით ვკითხულობ და ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მასალას ჩემს პირად არქივშიც ვინახავ.

– ჰოდა, თუ პატივს სცემ ჩემს გაზეთს, უნდა დამიმტკიცო, – ნიშნისმოგებით დაამთავრა სათქმელი თამარმა და სწრაფი ნაბიჯებით გაშორდა გაოცებულ პეტრეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ტელეფონით დაუკავშირდა ნიკო. პეტრეს მოეჩვენა, რომ მის საუბარშიც შეიმჩნეოდა უკმაყოფილება. ყურმილიდან ისმენდა საყვედურის სიტყვებს: „რა არის, პეტრე, რატომ აითვალწუნე ჩემი გაზეთი, ნუთუ თამარის გაზეთი ჯობია?! მეგობრულად გთხოვ, შეეშვი იმის გაზეთს, მე მომაწოდე ყველაფერი და პატივისცემა ჩემზე იყოს. კარგად იცი, რომ ჩემი გაზეთი უკეთესია და მკითხველიც ბევრი ჰყავს, ვიდრე იმ ინტრიგანის გაზეთს“.

შეწუხდა პეტრე: „ჩემო ნიკო, მე დიდ პატივს ვცემ შენს გაზეთს და ვცდილობ, რომ ხშირად მოგაწოდო საინტერესო ნამუშაურები. შიგადაშიგ არც იმ გაზეთს ვივიწყებ, მაგრამ, დამიჯერე, შენთან უფრო მეტი მასალა მომაქვს“.

– მოკლედ, თუ პატივს მცემ, იმას ნუღარ მიაწვდი

წერილებს; გპირდები, რომ ჰონორარსაც გაგიზრდი და შიგადაშიგ ფულადი პრემიითაც დაგაჯილდოვებ. ისე, თუ მართლა პატივს მცემ და ჩემს გაზეთს ანიჭებ უპირატესობას, მოგიწევს დამტკიცება და მეც დაგიფასებ.

საგონებელში ჩავარდა პეტრე. არასდროს უფიქრია და არც უცდია იმ ორიდან რომელიმე გაზეთისთვის მიეცა უპირატესობა. არ უნდოდა ორ მოპაექრეს შორის გაჭყლეტილიყო, ან მათი დაპირისპირების უნებლიე მონაწილე გამხდარიყო. შეწუხდა კაცი, მოსვენება დაკარგა და გამოსავალს ეძებდა, რათა არ მოემდურებინა არც თამარი და არც ნიკო. გამუდმებით ფიქრობდა, რითი და როგორ გაეთბო განაწყენებული რედაქტორების გული.

სულ მოკლე დროში გამოვიდა პეტრეს ახალი პროზაული ნაწარმოებების კრებული. წესად ჰქონდა, ნაცნობ-მეგობრებისათვის ყოველი ახალი გამოცემის ჩუქება, ახალახალი ორიგინალური ავტოგრაფებით. ამჯერად პეტრემ გადაწყვიტა, პირველ რიგში, თამარისა და ნიკოსთვის გაეგზავმა წიგნები და ასეც მოიქცა.

გააკეთა გულისამაჩუყებელი წარწერები, ფაციფუცით შეახვია გაზეთში და კურიერის ხელით გაუგზავნა რედაქტორებს.

ორი საათიც არ იყო გასული, როცა დაურეკა თამარმა: „კაცი ყოფილხარ, კაცური; ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლაც პატივს მცემ. დიდი მადლობა; ისე კი კარგად მიმანიშნე, რომ ნიკოს გაზეთი არაფრად

მიგაჩნია, რადგან მის გაზეთში გახვეული შენი წიგნი მისაჩუქრე. მართალი ხარ, მისი გაზეთი მხოლოდ რაიმეს გასახვევად თუ გამოდგება“...

პეტრე გაოგნდა, დაიბნა და ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე; თუმცა ბოლოს გამოერკვა სრულად და ტელეფონიც გაითიშა.

მძიმე ფიქრმა შეიპყრო პეტრე: „ვაი, თუ ნიკოს დაურეკოს თამარმა და ბოღმით მიახალოს – პეტრე შენს გაზეთს გასახვევად იყენებსო“.

ცუდ გუნებაზე დადგა და ის იყო უნდა დაერეკა ნიკოსთვის, რომ ტელეფონიც აწკრიალდა: „ყოჩაღ, პეტრე, ძმა ხარ ჩემი; რა კარგად მოგიფიქრებია, როცა თამარის გაზეთში გაახვიე საჩუქარი. მისი გაზეთი სწორედ ასეთ გამოყენებას იმსახურებს; შენ ნამდვილად დამიმტკიცე, რომ ჩემს გაზეთს უფრო მეტ პატივს სცემ. მადლობა ამისთვის; იმედია, ჩვენი თანამშრომლობა გაფართოვდება და მეც ჩემს დანაპირებს შევასრულებ“.

პეტრეს უკვე აღარ ესმოდა მისი სიტყვები.

ფაშისტური ფარაჯა



საშინელი ზამთარი იდგა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში მცირე ხნითაც კი არ დაწყნარებულა ცივი, ძვალში და რბილში გამჭოლი ქარი. ბევრი სახლი დარჩა სახურავის გარეშე, მრავალი ხე მოიგლიჯა ძირფესვიანად. ძლიერი ყინვა ანადგურებდა ყველაფერს. ასეთი მკაცრი ზამთარი არ ახსოვდათ თელაველ ხანდაზმულებსაც კი. ერეკლეს სამეფო ქალაქი თოვლ-ყინულით იყო „შემოსილი“. ადამიანებს უჭირდათ ქუჩაში გასვლა. სკოლებში შეჩერდა სასწავლო პროცესი. სიცივეს და

სიბნელეს მოეცვა ყველაფერი. იწურებოდა 1943 წელი.

ბოგველაძეების სახლიდან სინათლის ათინათი გამოერთოდა. ტაბლას მისჯდომოდა ორი, ფრონტმოვლილი მეგობარ-მეზობელი დათა და გიორგი. გიორგის მარცხენა ხელი დაეკარგა სისხლისმღვრელ შეტაკებაში, ხოლო დათა ყავარჯნებითა ახერხებდა გადაადგილებას. ნაღმის ნამსხვრევით დაგლეჯილი ფეხები ვეღარ უძლებდა ტანის სიმძიმეს.

ჭაჭის არაყი ეღვათ სამლიტრიანი შტოფით. ტაბლაზე ელაგა რაც კი გააჩნდათ: ღორის მოზრდილი ნაჭერი, ხახვი, ნიორი, ჭარხლით შეფერილი კომბოსტოს მწინილი და ერთი ჩურჩხელა. სამი თეფში და ჩანგალი იდო ტაბლაზე, მესამეს ელოდნენ.

ღუმელთან მთვლემარე ძაღლმა თავი ასწია და ყურები დაცქვიტა. ალბათ ეზოში ვინმე შემოვიდაო, დასძინა დათამ. მიხო იქნებოა, გამოეპასუხა გიორგი.

მართლაც, კარები გაიღო და ოთახში შეაბოტა მიხომ, ხელების ფშენეტითა და ფეხიდან ფეხზე ბუქნაობით. უღვაშებზე თოვლი ჰქონდა შეყინული; ცხვირ-პირი ასწითლებოდა, შეყინულ თითებს ძლივს ამოძრავებდა. მიხოც დემობილიზირებული იყო მრავალრიცხოვანი ჭრილობების გამო. ტანზე გერმანული წარმოშობის ფარაჯა ეცვა, რომლის კალთებიც თითქმის ფეხის წვერებამდე სწვდებოდა.

რამდენჯერ გაგაფრთხილა კომისარმა – მაგ ფარაჯას ნუ იცვამო, – მკვახედ შეაგება დათამ. გინდა, რომ ციმბირში გიკრან თავი? თან სულ ფეხებში გებლანდება. ალბათ საკმაოდ მაღალი იყო მაგის პატრონი, –

დაამატა გიორგიმ. იცოდე, თუ დღესაც არ მოგვიყვები ფარაჯის ისტორიას, ერთ ჭიქასაც არ დაგაღვინებთ, – უთხრეს მეგობრებმა.

კარგიო, რაღაცნაირი ძაღდატანებით წარმოთქვა მიხომ.

შემოუსხდნენ ტაბლას; ღმერთი ახსენეს და თითო გადაჰკრეს. მეორე ჭიქით ომში დაღუპულები გაიხსენეს და მწინილი დააყოლეს ხრაშახრუშით.

მიხომ უღვაშებზე გადაისვა ხელი და დაიწყო: „ყველა მხრიდან ვუტევდით ალყაში მოქცეულ ერთ პატარა ქალაქს. ჩვენს ნაწილს წილად ხვდა აღმოსავლეთ გარეუბნის სანგრების გადალახვა. გერმანელებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული ის უბანი. სამი დღე-ღამე ვუტევდით, დიდი მსხვერპლი გავიღეთ, მაგრამ წინ ვერ წავიწიეთ. ბოლოს დაგვიმატეს შეიარაღება და ცოცხალი ძალაც. გერმანელების ნახევარზე მეტი სანგრებში ჩაიხოცა, დანარჩენები გაიქცნენ ქალაქისკენ. ის იყო, გამარჯვება უნდა გვეხეიმა, რომ სეტყვასავით წამოვიდა ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ერთადერთი აყლაყუდა ფაშისტი გიჟივით დარბოდა სანგრებში და ხან ერთი და ხან მეორე მიტოვებული იარაღიდან გვესროდა შესაშური თავგამოდებით. დიდი ზიანი მოგვაყენა. ერთიც შეეუტიეთ, მთლიანად გადავთელეთ, რაც კი წინ შემოგვხვდა. ნაწილმა ქალაქის ცენტრისკენ აიღო გეზი. მე სანგარში ჩავცოცდი და იმ აყლაყუდას ვეძებდი. დავინახე, რომ გვამიდან გვამზე გადარბოდ-გადმორბოდა და ხან ერთ ავტომატს სტაცებდა ხელს და ხანაც მეორეს. დამინახა და თითქოს ადგილზე გაშეშდაო. მერე ავტომატის სა-

კეტს დაუწყო წვალემა, მაგრამ აღარ ვაცალე, ნახტომი გავაკეთე და რუსული ხიშტი შიგ გულში გაგუყარე. რაღაც ჩაილიღლულა და მოჭრილი ხესავით გადავარდა. სანგრის ძირზე გართხმული უფრო გრძელი ჩანდა. ცისფერი თვალეხი და ოქროსფერი გრძელი თმეხი ჰქონდა. თავზე ვადექი და აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. რაღაც ხმა კიდევ გამოსცა და განუტევა სული. ბევრი ფაშისტი მყავს მოკლული, მაგრამ შორიდან. ეს შემთხვევა კი სულ სხვა იყო. შემეცოდა, მაგრამ რას ვიზამდი – შენ არ მოკლავ, ის მოგკლავს, ასეთია ომის წესი. სულ ახალგაზრდა იყო, ალბათ ჩემი შვილის ტოლი. სანგარში ეგდო ოქროსფერჩარჩოიანი სათვალე, ვფიქრობ რომ მისი იყო, რადგან როცა პირველად შემამჩნია, რაღაცნაირი მოჭუტული თვალეხით მიცქერდა.

ყინავდა, მაგრამ მე უფრო შემაცია. გული და გონება დამიმძიმდა. როგორღაც დავიბენი კიდევ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს გაგხადე ფარაჯა და ჩავტენე ზურგჩანთაში. მერე მკერდზე გადავუჯვარედინე ხელეხი, პირჯვარი გადავიწერე და ძუნძულსირბილით წავედი ქალაქისაკენ. იქ უკვე ზეიმობდნენ ქალაქის აღებას. იყო ერთი ყიჟინა და ზეაწეული ავტომატების კაკანი. მე კი გულდამძიმებული ქვის კიბის ცივ საფეხურზე ჩამოვჯექი, ცოდვით სავსე ზურგჩანთა გვერდით დავიდე და გაზეთის ნაგლეჯში თუთუნის გავახვიე. ქალაქში ბინდი წებოდა, – დაამთავრა მისომ ფარაჯის ამბავი, ჭიქა ბოლომდე შეივსო არყით და სულმოუთქმელად დალია, ლორის ნაჭერი ჩაღეჭა და დაამატა: „თითქმის ერთი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ

და იმ ბიჭის ცისფერი თვალების უკანასკნელი მზერა დღესაც არ მაძლევს მოსვენებას. იქნებ კარგიც არის, რომ მის ფარაჯას დავატარებ“.

დათას და გიორგის არაფერი უთქვამთ. უხმოდ შეივსეს ჭიქები და გადაჰკრეს.

კარგახნის სიჩუმე გიორგიმ დაარღვია: ვინმესი ან რაიმეს შიში თუ გქონია ოდესმეო, შეეკითხა და უკვე შემთვრალი თვალებით მიაშტერდა მიხოს.

აბა, რას მეკითხებით,, როგორ არ გრცხვენიათ; განა ბავშვობიდან არ მიცნობთ?! სიჭაბუკეში რამდენჯერ წავსულვარ მარტოდმარტო დათვზე და ტახზე სანადიროდ; ცხენების გახედვანაშიც ხომ ვერავინ მჯობნიდა; ფრონტზე ჩემი უფროსები აღტაცებულები და გაოცებულებიც კი იყვნენ ჩემი სიმამაცითა და უშიშარობით. ყოველთვის წინ მივუძღოდი ჩემს თანამებრძოლებს და ამიტომაც დავიჭერი შვიდჯერ. აბა შეხედეთ ფარაჯაზე ჩამწკრივებულ მედლებს. უმეტესობა სიმამაცისა და თავდადებისთვის მაქვს მიღებული. ტანკზე რამდენჯერ შევუხტი გერმანელებს და პირდაპირ ლუკში ჩავუბდე ხელყუმბარა.

„კარგი, კარგიო“ – შეაწყვეტინეს მიხოს. თითოც გადაკრეს და საკმაოდ შეთვრნენ. შტოფი უკვე სანახევროდ იყო ჩამოცლილი. ღუმელს შეშა მიუმარჯვეს. ახალი სანთელი აანთეს.

სანამ ახალ სადღეგრძელოს ვიტყოდეთ, ერთი მიპასუხე – მიმართა გიორგიმ მიხოს, თუ მართლაც არაფრის შიში არ გაქვს, აბა სასაფლაოზე წადი ღამით და იქ დაჰყავი თხუთმეტი-ოცი წუთი. მერე ვნახავთ, რო-

გორი უშიშარი ხარ.

– სასაფლაოზე ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს, ხიმტს გამიყრის თუ ტყვიას მესვრის ვინმე?!

– შეგეშინდება.

– არ მეშინია...

– შეგეშინდება-მეთქი, დაიყინა დათამ.

– არაფრის მეშინია; თუ არ გჯერათ, ახლავე წავალ, ოღონდ კაი სანაძლეო დავდოთ. შეთანხმდნენ.

დათა ეუბნება: „საწყალი ჩვენი ნიკოს საფლავი ხომ იცი, სადაც არის... ჰოდა აი ეს ორი პალო წაიღე, საფლავეზე დაარტყე და მერე ისევ აქ მოდი. გათენდება და სამივენი ერთად წავალთ შესამოწმებლად – მართლაც იყავი, თუ არა იქ.“

კარგიო, დაეთანხმა მიხო. ერთი ჭიქა გადაჰკრა, ფარაჯა ჩაიცვა, პალოებს ხელი დაავლო და ჩქარი ნაბიჯებით გავიდა სახლიდან.

ძლიერმა, ყინულივით ცივმა ქარმა ლამის წააქცია. საშინლად ბნელოდა. რომ იტყვიან „თვალთან თითს ვერ მიიტანო“ – სწორედ ისე იყო. სასაფლაომდე სულ ერთი კილომეტრი იქნებოდა. გზა ზეპირად იცოდა. თვალდახუჭულიც მიაგნებდა ადგილს. გაუჭირდა სიარული. ქარი აზანზარებდა იქაურობას. ახლომდებარე ფოთლოვანი ტყე დაჭრილი მხეცივით ღმუოდა. სახეში ნამქერი ყვრებოდა და ფარაჯის კალთებიც ფეხებში ებლანდებოდა ღრმა თოვლში ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალს. სიცივემ აიტანა. სადღაც გულის სიღრმეში ინანა კიდევ – ნეტავ რა ძალა მადგაო, მაგრამ თავი გაიმხნევა: „მიდი, მიდი, მიხო, შენ ხომ სიტყვის კაცი ხარ, თანაც უშიშარი,

თავი არ შეირცხვინო“.

მაღე ალაყაფის კარებს გადააბიჯა. იგრძნო, ვიდრე დაინახა, რომ საფლავეებს შორის მიდიოდა. ქარი საფლავეების მესერებს აწყდებოდა და საზარლად წიოდა. შუქის ნატამალიც კი არსაიდან ჩანდა.

გაყინულ-გათოშილი წაადგა ნიკოს საფლავს. ხელების ფათურით და მიწოლით ძლივს შეაღო რკინის მიყინული კარები. ასევე ხელების ფათურით მოსინჯა საფლავის ქვა და სასანთლე – ხომ არ შეეცდო და საფლავზე ჩაიჩოქა.

ჯერ გაუჭირდა გაყინულ მიწაში პალოების ჩარჭობა, მაგრამ ძლიერი დატყმებით თითქმის ბოლომდე ჩაიტანა ორივე და წამოდგომა სცადა.

ოი, უბედურებავე, ეს რა ხდება, ადგომა უნდა და ვერ წამოიძართა, რაღაცა ძალა არ უშვებს; ისევე სცადა, მაგრამ კვლავ ამაოდ; ერიჰაა, გაიფიქრა მიხომ, რაღაც ცუდად არის საქმე; ნეტავ რა ხდება, საიქიოსაკენ ხომ არ მექაჩებიან მიცვალებულები; თავს ძალა დაატანა, ხელებით დაეყრდნო მიწას და კვლავ სცადა ტანის აქაჩვა. არაფერი გამოუვიდა. უცბად გამოფხიზლდა. სიმთვრალის ნატამალიც კი აღარ ემჩნეოდა; გონებას ძალა დაატანა და მიხვდა, რომ სიცოცხლეში პირველად შეიპყრო შიშმა.

„არ შეშინდე, მიხო, წამოდექი და წადი შენს მეგობრებთან, ხომ იცი, გელოდებიან“ – ჩასძახოდა ყურში შორიდან მომავალი უცხო ხმა. ერთი კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ისევე უშედეგოდ. ქარის გრიალში აშკარად ესმოდა გულის ბაგა-ბუგი; საფეთქლები ლამის დასკდო-

მოდა. წამის მისხალში გაირბინა მის თვალწინ მთელმა სიცოცხლემ; ტვინი განაგრძობდა მუშაობას. ნუთუ ეს დასასრულია, გაიფიქრა და საშინელი ტკივილი იგრძნო გულის არეში. დაყვირება სცადა და ვერ იყვირა, ან ვის მიაწვდენდა ხმას აღვირახსნილი ქარის გრიალში?! „ნეტავ, რა შევცოდე ასეთი, რა ხდება ჩემს თავს, რა ვქნა, რა მოვიმოქმედო?“ ეს კითხვები უტრიალებდა სიცივისა და შიშისგან გაყინულ-გათოშილ ტვინში. გაბრძოლების თავიცი აღარ ჰქონდა და ცხვირ-პირით ჩაემხო გაყინულ თოვლში. ძლიერმა ქარმა ნამქერი წააყარა; სადღაც მოშორებით კიოდა ჭოტი.

რიჟრაჟმა გაიკვესა ჰორიზონტზე.

მეგობრის დაგვიანებით შეწუხებულ-შეფიქრიანებული დათა და გიორგი ფიქრობდნენ, რომ სახლში წავიდოდნენ. გული ცუდს მეუბნებო, შენიშნა გიორგიმ. ლაპარაკს ის გვირჩევენია, წავიდეთ და გავარკვიოთ, რა ხდებაო.

ცას უკვე შეჰპარვოდა ნათელი. ქარიც ჩაწყნარებულიყო. ფრონტელი მეგობრები სწრაფი ნაბიჯებით დაადგნენ სასაფლაოსკენ მიმავალ გზას. უკან ძაღლი მისდევდათ წკაგწკაგით.

ნიკოს საფლავზე მისულებს საზარელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: საფლავზე დამხობილი მიხოს უსულო სხეული ნამქერით იყო დაფარული. ფაშისტური ფარაჯის ორივე კალთა პალოებით იყო ჩამაგრებული ნიკოს საფლავის გაყინულ მიწაში.

უიღბლო მოკრივე

უნივერსიტეტში ჩარიცხული აბიტურიენტებისათვის სავალდებულო იყო რომელიმე სპორტულ სექციაში ვარჯიში. გვიმ კრივის სექციაში ითხოვა ჩარიცხვა. როცა კომისიის წევრებმა გვიის რაჭველობის შესახებ შეიტყვეს, ღიმილით ურჩიეს: „არ გისურვებთ, იმიტომ, რომ სანამ შენ მოიფიქრებ, თუ როგორ და რანაირად შეუტოო მეტოქეს, ის დაგასწრებს და იატაკზე აღმოჩნდება“. გივი ჯიუტად ითხოვდა თავისას და კომისიამაც დააკმაყოფილა მისი სურვილი.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მონაცემებით. საშუალო სიმაღლისა და საშუალო წონის მომავალ მოკრივეს მორგავით მსხვილი და მძიმე მუშტები ჰქონდა. დინჯი ნაბიჯებით დადიოდა და საუბარიც მშვიდი და მოზომილი იცოდა, როგორც ჭეშმარიტმა რაჭველმა. ხასიათით რბილი და მორიდებული – არასდროს ყოფილა კინკლაობის თუ ჩხუბის წამომწვეები; პირიქით, ხშირად გამოსულა გამშველებლის როლში და ხშირადაც მოხვედრია მწარედ. როცა ეტყოდნენ, თუ რა ძალა გადგაო, დამორცხვებით პასუხობდა – ეგ არაფერი, მთავარია, რომ შერიგდნენო.

ორი წლის ინტენსიური ვარჯიშის შედეგად გივი ჩამოყალიბდა ძლიერ მოკრივედ. მასთან რინგზე შეხვედრაში წარმატების მიღწევა უჭირდათ მეტოქეებს. ყუმბარისებური დარტყმების უწყვეტი სერიით დროზე ადრე ამარცხებდა მეტოქეს. ის კი არ მოსწონდა, რომ ხელს

აუწევდნენ და გამარჯვებულად ხმამაღლა აცხადებდნენ. თავს დაღუნავდა და სწრაფი ნაბიჯებით გასახდელისკენ გარბოდა ხოლმე. დედაქალაქში უკვე დადიოდა ხმები მისი ძლიერი დარტყმების შესახებ. ხშირად გაიგონებდით: „მაგან რომ ჩვეულებრივ ქუჩურ ჩხუბში კაცს დაარტყას, ალბათ ნაწილებად დაშლისო“.

იცოდა რა თავისი ძლიერი დარტყმების შესახებ, გივის ვერ წარმოედგინა, თუ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, სპორტული არენის მიღმა, როგორ უნდა დაერტყა ვინმესთვის.

სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, მეგობრულ წრეში, გივი ხშირად საუბრობდა თავისი უიღბლობის შესახებ. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მას ტოტალურად არ უმართლებდა ცხოვრებაში. დედასაც შესჩივლა რამდენჯერმე, „რატომ ვარ ასეთი უიღბლო: ჯერ იყო და მამა გარდამეცვალა ჯერ კიდევ პატარას; უმაღლესში ჩასაბარებლად ვემზადებოდი და ისე ძლიერ გავხდი ავად, რომ ერთი წლის გამოტოვება მომიხდა; მერე ახლობელმა ნათესავმა, თავის უშველებელ სახლში, ერთი კუთხის გამოყოფაზე მითხრა უარი და საერთო საცხოვრებელში ვიმყოფები; ახლა კი გამოცდებზე სწორედ ის საკითხები მხვდება ბილეთში, რომელთა მომზადებაც ვერ მოვასწარი; დენი მაშინ ითიშება, როცა ტრამვაიში ვზივარ და სადღაც ძალიან მიმეჩქარება; საერთო კრებაზე ხმამაღალ შენიშვნას მაძღვევენ თუ კისერი ოდნავ მივატრიალე, მაშინ, როცა მუდმივად მოსაუბრე გოგონათა ჯგუფს თითქოს ვერ ამჩნევენ; ტაქსები ბუხებივით ირევიან, მაგრამ, როცა გოგოს გაც-

ილება მინდა სახლში, სწორედ მაშინ გადაიკარგებიან ხოლმე სადღაც და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალაო?! უკვე დავიღალე ჩემი უიღბლობით“.

დაწყნარდი, შვილო, ალერსით ეუბნებოდა დედა. შენ, უბრალოდ ფაქიზი ბუნებისა ხარ, გულთან ძალიან ახლოს მიგაქვს ყველაფერი; ასეთი რამ ყველას ემართება; ცხოვრებაში ხშირად ხდება მსგავსი რამეები და ამან იმედგაცრუება არ უნდა გამოიწვიოს. გაივლის წლები და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და შენც გადაგავიწყდება შენი, ვითომდა უიღბლობის შესახებ.

წლები კი გადიოდა. გვიმ სპორტულ ასპარეზზე მრავალი მედალი, პრიზი და დიპლომი დაიმსახურა. უკვე ლაპარაკობდნენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანაზე. სწორედ მაშინ ორკვირიან არდადეგებზე იმყოფებოდა მშობლიურ ქალაქში. ერთ საღამოს სკოლის მეგობრებმა შეხვედრა მოუწყვეს წარმატებულ სპორტსმენს და მომავალი წარმატებები უსურვეს.

შებინდებისას ბრუნდებოდა სახლში ოდნავ შეზარხოშებული. უცებ შემოესმა გოგოს განწირული ხმა – მიშველეთ...

გივიმ დაინახა ქუჩის კუთხეში, როგორ ექაჩებოდა ვიღაც აყლაყუდა თავისკენ უცნობ გოგონას, როგორ ეჯაჯგურებოდა და საკოცნელად იწვედა.

გივი ახლოს მივიდა და მისთვის დამახასიათებელი სიღინჯით, მაგრამ მკაფიოდ მოსთხოვა აყლაყუდას – გაანებე თავი, წავიდეს თავის გზით.

აყლაყუდამ თითქოს ვერ გაიგო და განანგრძობდა გოგოსთან ჭიდილს. საცოდავი ყველანაირად ცდილობდა მოძალადის მკლავებიდან განთავისუფლებას.

გივიმ, უკვე მკაცრი ტონით მოსთხოვა აყლაყუდას რომ მოშვებოდა გოგოს. ის შემოტრიალდა გივისკენ, ისე რომ გოგოსთვის ხელი არ შეუშვია...

– შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ, რა შენი საქმეა, გაეცალე აქაურობას და გზას ბარაქა დააყარე.

– გაუშვი-მეთქი, თორემ განანებ...

– ვის ანანებ, შე ბედოვლათო... მე შენი...

აყლაყუდამ შეგინება ვერ მოასწრო, მოკლე მანძილიდან ისეთი ძლიერი დარტყმა მიიღო, რომ ხის ხმელი ფოთოლივით დატრიალდა და უძრავად გაიშლართა ტროტუარზე. გოგომ დრო იხელთა და საკინძის სწორებით სლუკუნ-სლუკუნით გაიქცა სახლისკენ.

ამასობაში ხალხი შეიკრიბა. გივი იცნეს და ურჩიეს სასწრაფოდ წასულიყო იმ ადგილიდან.

დედამ უხასიათობა შეამჩნია.

– რა მოგივიდა, შვილო, რა მოხდა, ფერი აღარ გაქვს სახეზე...

– ისეთი არაფერი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგადაა.

ცოტა ხანში გივის ძმაკაცები მოცვივდნენ. გვერდზე გაიყვანეს და აცნობეს:

– ყბის ძვალი აქვს ჩამტვრეული და საავადმყოფოში წვეს, ქირურგიულში. ტრავმატოლოგები დასტრიალებენ თავს. არ იცის ვინ სცემა, ისე რომ, მშვიდად იყავი.

გივის დედამაც გაიგო ყველაფერი.

– წადი, შვილო, ნახე და ბოდიში მოუხადე. თუ რაიმით შეგიძლია დაეხმარე და გაამხნევე.

გივის ჭკუაში დაუჯდა დედის რჩევა. მარტო წავალ, არ გამომყვითო, უთხრა ძმაკაცებს და სწრაფად დაეშვა კიბეზე.

ვინ გნებავთო, შეეკითხა მორიგე.

დაახლოებით ერთი საათის წინ მოიყვანეს, მითხრეს ქირურგიულშია, ყბა აქვსო ჩამტვრეული, უპასუხა გივიმ.

– ჰო... მაისურაძე?! შენ რა ხარ მისი? ისე კი მაგრად დაურტყამს ვიდაცას...

– ვინ არის მაისურაძე, ძლივს ამოიღუდლულა გივიმ.

– ვინა და ის ყბაჩამტვრეული, ახლახანს რომ მოიყვანეს... ახლავე ხალათს მოგართმევ, დიდხანს არ დაყოვნდე.

გივის მისი სიტყვები აღარ ესმოდა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სახლისკენ.

– რა ქენი, ნახე? – შემოეგება მომლოდინე დედა.

– არა, არ მინახავს... და საერთოდ რა ხდება ჩემს თავზე... ხომ გეუბნებოდი, რომ უიღბლო ვარ მეთქი, შენ კი მამშვიდებდი...

– რა მოხდა, შვილო, რა დაგემართა?!

– რა და ის, რომ ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი კაცი შემომელახა ქუჩაში და ისიც ჩემი მოგვარე აღმოჩნდა.

მინისტრის მძღოლები

ორი მსუბუქი მანქანა ემსახურებოდა მინისტრს. მძღოლები თვითონ შეარჩია – მიხო და რაფიკა.

ერთ დღეს შორეული სოფლიდან მამა ეწვია მინისტრს და სთხოვა მანქანა.

– ხომ იცი, შვილო, მიჭირს გადაადგილება დედაქალაქის ქუჩებში. ექიმთან ვარ დაბარებული გამოსაკვლევად. იქნებ მანქანა მომცე...

გამარჯობათ, ბატონო ვანოჯან, დაბრძანდით, ახლავე მოგემსახურებით, – ღიმილით მიმართა რაფიკამ.

– სად გნებავთ მისვლა?!

– ონკოლოგიურში...

– ახლავე, ბატონო ვანოჯან, სულ სისინ-სისინით მივაბრძანებთ, ცივ ნიავეს არ მოგაკარებთ...

მანქანა დაიძრა და რაფიკაც აღარ გაჩუმებულა.

– რა კარგი შვილი გყავთ, ბატონო ვანოჯან, ჭკვიანი, განათლებული, პატიოსანი, მხიარული და ყველას მოყვარული; დიდთან დიდია და პატარასთან – პატარა. ყველა პატივს სცემს; ენაცვალოს ჩემი თავი, ასეთი კარგი უფროსი ჯერ არ მყოლია. ბედნიერი კაცი ბრძანდებით, ბატონო ვანოჯან. ხომ არ გიბერავთ? მინას ჩამოვწევ; თუ გნებავთ მუსიკას მოგასმენინებთ... შესციცინებდა თვალებში და თან თბილისურ სიმღერებს

უქებდა.

მინისტრის მამამ შეამჩნია, რომ სულ სხვა მიმართულებით მიჰქროდა მანქანა და ფრთხილად შეაპარა რაფიკას.

– საით მივდივართ, ჩემო კარგო? იქნებ დროზე მიმიყვანო, თორემ უხერხულია, ექიმი მელოდება...

– ახლავე, ბატონო ვანოჯან, სულ მოკლე გზით მიგიყვანთ, თან ქალაქს დაგათვალიერებინებთ. აი, ეს ახალი კლინიკაა, აი, იქ მთავარი ბანკია, გვერდით ჩინური რესტორანია, აი, ის მაღალი შენობა კი ახალი, ხუთვარკსელავიანი სასტუმროა...

აღარ ჩერდებოდა რაფიკა.

მინისტრის მამა კი კარგად ხედავდა, რომ იქითკენ არ მიდიოდნენ, საითაც უნდა წასულიყვნენ.

– რაფიკ, იცი, სად არის ონკოლოგიური?!

– როგორ არ ვიცი, ბატონო ვანოჯან. ახლავე, აი იქ შევეუხვევთ და მერე სულ პირდაპირ წავალთ.

რაფიკამ სადღაც ვიწრო შესახვევში, პატარა სუპერმარკეტთან შეაჩერა მანქანა.

– ბატონო ვანოჯან, არ მოიწყინოთ, აი ჟურნალი, გადაათვალიერეთ...

მინისტრის მამამ დაინახა თუ როგორ შეირბინა რაფიკამ მარკეტში, მერე გამოვიდა პოლიეთილენის სავსე პარკებით და მაღალი შენობის სადარბაზოში გაუჩინარდა.

შეწუხდა მინისტრის მამა, სულ უფრო ხშირად იხედებოდა საათზე, მაგრამ რა ექნა?!

მაღლე რაფიკაც გამოჩნდა.

– აი, მეც მოვედი... ახლავე ბატონო ვანოჯან, სულ რამდენიმე წუთში ადგილზე ვიქნებით...

– იმ სახლში ცხოვრობ? – შეეკითხა მინისტრის მამა და კორპუსისკენ მიუთითა.

– არა, იქ ჩემი მოხუცი მშობლები ცხოვრობენ, ტკბილეული მივუტანე, ძალიან უყვართ. კარტიც მივუტანე – „დურაჩკას“ თამაშობენ და პასიანსს შლიან. შვილებს უნდა უყვარდეთ მშობლები, მათ ხომ ჩვენ გაგვზარდეს და დაგვაუკაცეს. თქვენს შვილს ძალიან უყვარხართ...

ისევ თაფლი წაისვა ენაზე რაფიკამ.

– სულ თქვენ ქებაშია. თქვენით ამაყობს. სუფრაზე სულ მშობლების სადღეგრძელოს სვამს – ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს დედ-მამაო. კარგი შვილი გყავთ, გაჭირვებულების დახმარება უყვარს. ნამდვილი ვაჟკაცია.

მინისტრის მამა აღარ უსმენდა – მობეზრდა მისი ლაქუცი და გზას გაჰყურებდა.

მანქანამ აღმართი აიქროლა და შეჩერდა ონკოლოგიური ცენტრის ცხრასართულიან სახლთან.

რაფიკა სწრაფად გადმოხტა მანქანიდან, კარები გაუღო მგზავრს და მისაღებად მიაცილა.

ექიმმა დანიშნულება გამოუწერა მინისტრის მამას და სთხოვა, რომ ორი კვირის შემდეგ კვლავ მისუფლიყო გასასინჯად.

ამჯერად, მინისტრის მამის მომსახურება წილად

ხვდა მიხოს. მან დახვეწილი მოძრაობით გამოუღო კარები, მიეხმარა ხანშიშესულ კაცს ჩაჯდომაში და გეზი ონკოლოგიური ცენტრისკენ აიღო. გზაში მიხომ სულ ერთადერთხელ ამოიღო ხმა:

– ძალიან კარგი ექიმია, ვისთანაც აპირებთ მისვლას. უცბად მოგიგვარებთ პრობლემებს, ისე, რომ იმედინად ბრძანდებოდეთ.

სულ რაღაც ათ წუთში აღვიღზე იყვნენ. მიხომ დამორცხვებით მიმართა მინისტრის მამას:

– ბატონო ვანო, თუ შეიძლება, თხუთმეტი წუთით გამიშვით, ავადმყოფ დედას წამლები უნდა მივუტანო...

– წამლები გაქვს?

– კი, ყველაფერი დილაადრიან შევიძინე, რაც ექიმმა დაუნიშნა; ახლავე მოვალ...

– სად ცხოვრობს დედაშენი?..

– ნუცუბიძის ქუჩაზე, იქვე გადმოსახვევთან.

– მერე, შე კაი კაცო, იმ ქუჩაზე არ გამოვიარეთ სულ ახლახან, მიგვეტანა ბარემ...

– რა ვიცი, მომერიდა, ვერ გაგიბედე...

ბატირაი

სოფელ საბუის განაპირას, იქ სადაც იწყებოდა საკოლმეურნეო სახნაგ-სათესი მიწები და ბაღები, იდგა ერთი ფარღალა სამჭედლო, რომელსაც არც კარები ჰქონდა და არც ფანჯრები. ოთხი საყრდენი ბოძი იჭერდა ნახევრადღამტვრეული ქართული კრამიტებით გაწყობილ სახურავს.

ამ სამჭედლოში ადრიანი დილიდან გვიან საღამომდე ისმოდა ჩაქუჩისა და უროს კაკუნ-ბაგუნი, ქშიტინებდა საბერველი, გარშემო მოუწესრიგებლად ეყარა ჟანგიანი ლითონის ნატეხ-ნაგლეჯ-ნამტვრევები. სწორედ მათგან ჭედდა და ამზადებდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს – თოხს, ბარს, ფიწალს, ყაირებს, ნაჯახს, წაღღს, ცხენისა და წყვილჩლიქოსანთა ნაღებს და სხვა საოჯახო ნივთებს, ფრონტიდან დროზეადრე დაბრუნებული, მოხალისედ წასული გიორგი. ასაკოვან მოხალისეს მსუბუქი ჭრილობის საბაბით უბრძანეს სახლში დაბრუნება, თორემ როგორც მებრძოლს, ვერაფერს უწუნებდნენ. სულ ფრონტის წინა ხაზისკენ იწეოდა და თავგანწირვით იბრძოდა.

ფუსფუსებდა სამჭედლოში და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა შრომისა და ბრძოლისუნარიანი მამაკაცების გარეშე დარჩენილ სოფელს. თვალი მუდამ ვიწრო ორღობისკენ ეჭირა – იქნებ ვინმე გამოჩნდეს, რომ საბერველს დაბეროს ან ურო დამირტყას გავარვარებულ რკინაზეო. ისე კი ძირითადად მაინც თვითონ იყო

დამბერველიც და ჩაქუჩის დამრტყმელიც.

მჭედელი გიორგი პატარა ტანის კაცი იყო, მაგრამ ერთიანად დაკუნთული, სხარტი და ძლიერი. ცნობილი იყო მისი იუმორიც – მსუბუქი და გამიზნული. გულიანად მომცინარეს ოქროს ოთხი კბილი გამოუჩნდებოდა ხოლმე, მხესავით მოეღვარე.

გიორგის სამჭედლო ერთგვარი თავშეყრის ადგილი იყო სოფელში დარჩენილი ხანდაზმულებისთვის. მოხუცების საუბრის ძირითადი თემა მაინც ფრონტის ამბები იყო. სოკოსავით ჩამოკიდებული რადიოს მიერ გადმოცემული ახალი ამბებიც აქტიურად განიხილებოდა და იყო ერთი განსჯა-კამათი. უფრო მეტად კი ხანშიშესულებს ის მოსწონდათ, რომ გიორგი მჭედელს ყოველთვის ჰქონდა მართკუთხედად დაკეცილი გაზეთის ქაღალდი თუთუნის გასახვევად. გიორგიც, ხელის სწრაფი მოძრაობით, კალენდრის ფურცელივით ჩამოახევდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო და ლაგოდების ცნობილი თუთუნიც ჯონჯოლივით აჩონჩხილი ფაქიზად იფუთებოდა თითების გაწვრთნილი მოძრაობით. ირგვლივ ისეთი სურნელი დგებოდა, რომ უფრო უკეთესს ვერ ინატრებდა თუთუნის მოყვარული.

საბუის მაცხოვრებლებს უყვარდათ მჭედელი გიორგი მისი გულკეთილი ხასიათისა და ალალი გულის გამო. შრომისმოყვარეობასაც უფასებდნენ და გაჭირვებულებისთვის მუდმივ უანგარო მხარში დგომასაც.

გაჭირვებულს კი რა გამოლევდა მსოფლიო ომის ქარცეცხლიან წლებში. ტოტალური შიმშილი, სიცივე, უსინათლობა და ფრონტიდან მიღებული სამგლოვიარო

ცნობები შავ ღრუბლებად აწვა უკეთესის იმედის ანაბარად დარჩენილ სოფელს.

ერთ მზიან დღეს, გიორგის სამჭედლოში თავმოყრილმა ხანდაზმულებმა ჩვეულებისამებრ ჩაახვიეს თუთუნი, მოხერხებულად მოიკალათეს და ის-ის იყო ახალი ამბების განსჯა უნდა დაეწყოთ, როცა მეზობლის ბიჭმა ქლოშინით მიიღობინა გიორგი მჭედელთან:

– სულეიმანის კაცები გეწვივნენ, ეზოში გელოდებიან.

– უთხარი, რომ ახლავე მოვდივარ, – მიაძახა უკვე გაქცეულ ბიჭს.

გაუკვირდა გიორგის სულეიმანის ხალხის სტუმრობა. ნეტავ, რა საქმე აქვთ – ფიქრობდა გიორგი და წასასვლელად გაემზადა.

გაგონილი ჰქონდა სულეიმანის შესახებ. ის დაღესტანში საკმაოდ პოპულარული კაცი იყო, თუმცა გიორგი მჭედელს მისი სისასტიკისა და ბევრი ავი საქმეების შესახებაც ჰქონდა მოსმენილი და ამიტომ, მაინცდამაინც არ ესიამოვნა მისი კაცების სტუმრობა.

ხანჯლის ვადაზე ხელდაყრდნობით და ფაფახების მოხდით, თავდახრილები შეეგებნენ ლეკები. ორიოდ სიტყვით მოიკითხეს ერთმანეთი და მერე ლეკებს შორის უფროსმა სულეიმანის დანაბარები მოახსენა გიორგის:

– ცხენების რემა გვყავს დასანალი, ასამდე იქნება; ერთი თვის თავზე გადმოვიყვანთ და იმედი გვაქვს, ეს დრო გეყოფა მოსამზადებლად.

პატარა პაუზის შემდეგ იგივე ლეკმა დაამატა:

– მოგეხსენებათ, რომ ფული არ გვაქვს, ამიტომ

თითო ცხენის დანალვაში ერთ გულა ყველს, ერბოსა და თაფლს მოგართმევთო.

შეთანხმდნენ და ლეკები სასწრაფოდ შემოახტნენ ცხენებს, დაღამებამდე გადაეწვიტათ უღელტეხილის გადასვლა.

ერთი თვის თავზე ჩამოვიდნენ ლეკები და ჩამორეკეს რემა.

გიორგი მჭედელმა მეზობლებთან გადაანაწილა სტუმრები და ყველაფერი იღონა, ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციების დასაცავად. თავად კი ლეკების თავკაცს, სულეიმანს და მის თანმხლებ ხუთმეტიოდე წლის ბიჭს, ბატირაის გამოუყო ცალკე ოთახი.

მოგვიანებით შეამჩნია გიორგი მჭედელმა, რომ სულეიმანს ხელისბიჭად ჰყავდა ბატირაი და ისე ეპყრობოდა, როგორც მონას – უყვიროდა, აგინებდა და მასხარად იგდებდა. ძილის წინ ფეხებს აბანინებდა. პურისჭამის დროს მაგიდასთან არ უშვებდა და მხოლოდ ნარჩენებით აპურებდა.

ბატირაი უსიტყვოდ იტანდა ყოველგვარ შეურაცყოფას და ბოლმას გულში იტრიალებდა. იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას. ფიზიკურად ძლიერი ჩანდა. დაკუნთულ სხეულს ვერ უფარავდა შემოსეულ-შემოძენძილი ტანსაცმელი. სხარტად მოძრაობდა და წარმოუდგენელი სისწრაფით ასრულებდა სულეიმანის მითითებებს. ღრმადჩამჯდარი პატარა თვალებიდან გამუდმებით ასხივებდა რაღაცნაირ სიბოროტეს და სიმკაცრეს. თვალებს უცნაურად აცეცებდა და ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდებოდა.

სულეიმანისგან შეიტყო გიორგი მჭედელმა, რომ ბატირაის მშობლები, ნაღჩიკში საქმეზე წასულები, დაბომბვაში მოხვდნენ და დაიღუპნენ და რომ მან, სულეიმანმა, შეიფარა ობოლი ბიჭი და შიმშილით სიკვდილისაგან იხსნა.

შეეცოდა მჭედელს პატარა ბიჭი და რაღაცნაირი სითბოთი განიმსჭვალა მის მიმართ, თუმცა არ მოსწონდა წარბებსქვემოდან მისი პატარა და ღრმადნასმული თვალების ჩუმი და საშიში მზერა.

გაივსო გიორგის სარდაფი გუდის ყველით, თაფლით, კაკლით, ერბოთი და ბეკონით. თუთუნიც ბევრი მიათრევს ლეკებმა მწვეველ მჭედელს. ისიც დღეში შეიდ-რვა ცხენს ნალავდა და საღამოობით კი გულუხვად მასპინძლობდა გადამთიელ სტუმრებს.

სამი დღის შემდეგ სულეიმანი წასასვლელად გაემზადა:

– ჩემო გიორგი, წასლვის დროა. ჩემ კაცებს მივეცი ყველა დავალება. სამჭედლოშიც მოგეხმარებიან და შენ ეზო-კარსაც მიხედავენ. დიდი მადლობა. თუ მეწვევი ოჯახში – ძალიან გამახარებ. დანარჩენ ცხენებს ჩემი კაცები გადმოიყვანენ, ისე რომ დროა დაგემშვიდობო, – სთქვა ეს და თავში წაუთაქა იქვემდგომ ბატირაის:

– მიდი, შე ცინგლიანო, ცხენი მომგვარე და მომეხმარე შეჯდომაში.

ბატირაიმ წაიბორძიკა, მერე წელშიგასწორებულმა ბოროტად გააკვესა თვალები და თავლისკენ გაემშურა.

– ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, მიმართა მჭედელმა სულეიმანს, რომელიც ჩოხას იწესრიგებდა ბრვე

ტანზე.

– გისმენ, ჩემო გიორგი.

– დამიტოვე ეგ ბიჭი, ვუპატრონებ, გაგზორდი, მზრუნველობას არ მოვაკლებ, მჭედლობას ვასწავლი, დაბრუნდება თქვენთან და ცხენების დანალვისათვის რემის გადმოყვანა აღარ დაგჭირდებათ. იმედი გქონდეთ – შვილივით გაგზორდი.

სულეიმანი ჩააფიქრა გიორგის სიტყვებმა. მკერდზე ჩამოფენილ წვერზე ჩამოისვა ხელი, ცნობისმოყვარე მზერით შეათვალიერა მჭედელი, მერე ყალიონი გამართა და გააბოლა.

– მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, რაც მითხარი? სანანებელი არ გაგიხდეს შენი ჩანაფიქრი. რთული და ჯიუტი ხასიათისაა ეგ ბიჭი, გაგიჭირდება მასთან ურთიერთობა. ვერ დაიმორჩილებ...

– სამი შვილი გაგზორდე... სამივე სტუდენტია. გამოცდილება არ მაკლია... თანაც სამჭედლოში დამხმარე არ მყავს და ხელობას ვასწავლი, შრომით იშოვის ლუკმაპურს...

ძნელი გასაგები იყო – აწყობდა თუ არ აწყობდა სულეიმანს გიორგი მჭედლის შეთავაზება. მცირე პაუზის შემდეგ, ბატირაის დახმარებით შეჯდა ცხენზე, გიორგის ხელი გაუწოდა დასამშვიდობებლად:

– იყოს ისე, როგორც შენ გინდა. ფრთხილად კი იყავი, კისერი არ წაიტეხო...

მერე ბატირაის გადახედა მკაცრი მზერით და კბილებს შორის გამოსცრა:

– მოუსმინე და შეასრულე, რასაც გეტყვის. ამი-

ერიდან გიორგი გაგიწევს მამობას.

მათრახი გადაჰკრა ცხენს და ადგილიდან მოწყდა. ეზოს გარეთ ელოდნენ წამსვლელი ლეკები და ოციოდე დანალული ცხენი.

გიორგი მჭედელმა დილაადრიან წაიყვანა ბატირაი სამჭედლოში, ასწავლა თუ რა და როგორ გაეკეთებინა. ერთი-ორი დღე მორჩილად ასრულებდა დავალებებს, მერე კი გული აიცრუა, იპარებოდა სამჭედლოდან და სადღაც უჩინარდებოდა. სადილზე თუ ვახშამზე ჩუმად იჯდა, საჭმელს არ ეტანებოდა და ისევ წარბებქვეშიდან ჩუმჩუმად ათვალიერებდა ყველას და ყოველივეს. საღამოობით მეზობლის ბავშვები აკითხავდნენ და სათამაშოდ ეპატიუებოდნენ ხოლმე, მაგრამ დიდ სურვილს არ ამჟღავნებდა, უფრო მეტიც, თუ თამაშში ჩაერთვებოდა – აუცილებლად რაღაცას გააფუჭებდა, დაანგრევდა, გატეხდა, დაშლიდა... თანატოლებს ხშირად უხეშად ექცეოდა, თავში ურტყამდა... გოგონებს თმებით ითრევდა.

სოფელში გავარდა ხმები, რომ ბატირაი უმოწყალოდ სცემდა და აწამებდა კატებსა და ძაღლებს, ქვებს ესროდა სახლების სახურავებს, ამტვრევდა კრამიტებს და ფანჯრების მინებს.

მჭედელის ხათრით უთმენდნენ და უყვავებდნენ, მაგრამ აევსოთ მოთმინების ფიალა და საჩივრით მიმართეს გიორგის.

შეწუხდა მრავალჭირგამოვლილი კაცი, ბოდიშს უხდიდა მომხივართ და თან სულეიძანის დანაბარები ახსენდებოდა – „რთული და ჯიუტი ხასიათისაა ეგ ბიჭი, გაგიჭირდება მასთან ურთიერთობაო...“

გიორგიმ გადაწყვიტა ცოტა მკაცრად მოპყრობოდა ბიჭს და გვერდიდან არ მოეშორებინა. არც მზრუნველობას აკლებდა – ახალი ქალამნები ამოუსხა, შეუკერეს თბილი შარვალი და ქურთუკი, მოუქსოვეს რამდენიმე წყვილი მატყლის ჭრელი წინდა და სხვა. მთავარი კი მაინც ის ჩოხა იყო, რომელიც დაბადების მესუთხმეტე წლისთავზე აჩუქა მჭედელმა. ძალიან მოეწონა ბატირაის საჩუქარი და მადლობის მოხდის შემდეგ ოდნავგასაგონად ჩაილაპარაკა – კარგი იქნებოდა ხანჯალიც მოგეყოლებინათო.

გიორგი მჭედელმა მხარზე მოუთათუნა ხელი და თბილად უთხრა – ეგეც მალე გექნება, ცოტა წამოიზარდე და მომაგრდიო.

ბოლო სიტყვა არ ესიამოვნა, თვალებიდან სიმკაცრე და ირონია გამოაკვესა და თავჩაქინდრული ეზოში გავიდა.

რამდენიმე დღე ძალიან ბეჯითად იმუშავა. გიორგის გაუხარდა – მგონი კარგად არის საქმეო. თუმცა მალე აიცრუა გული და ისევ იპარებოდა სამჭედლოდან.

ერთხელ გიორგი უჩუმრად გაჰყვა უკან. ბატირაიმ გადალახა სიმინდის ყანები და მომცრო მწვანე მინდორზე გულაღმა დაწვა. დიდხანს იყო ასე. მისი მზერა კავკასიონის მთებისკენ იყო მიმართული. გიორგი მჭედელმა იფიქრა – ალბათ მთებს იქით თავისი მშოგლიური აული ეგულებაო.

მჭედელი ცდილობდა, რომ ბატირაი ახლოს ჰყოლოდა და თვალყური ედევნებინა მისი საქციელისთ-

ვის. რჩევა-დარიგებებსაც არ აკლებდა, მაგრამ დიდ სასიკეთო ცვლილებებს ვერ ამჩნევდა. ბატირაი იშვიათად თუ იტყოდა ორიოდ სიტყვას და კვლავინდებურად წარბეჭევიდან მოღუშული მზერით აცეცებდა ღრმადჩასმულ თვალებს.

ერთხელ სადილობისას გიორგიმ შეამჩნია, თუ რა ინტერესით შეჰყურებდა ბატირაი ხალიჩიან კედელზე ჩამოკიდებულ მოვერცხლილ ხანჯალს. მჭედელმა მომდევნო დღეებშიც შეამჩნია ბიჭის დაინტერესება ხანჯლით. ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირას. ერთ საღამოს, ვახშობის დროს გიორგიმ ჩამოხსნა ხანჯალი, ამოაცურა ქარქაშიდან სამღარიანი ლესული და დამრიგებლური ტონით მიმართა ბატირაის:

– ეს ხანჯალი ჩემ უძველეს წინაპარს ეკუთვნოდა. მრავალ ბრძოლაშია გამოვლილი. ჩვენი გვარის რელიკვიაა. თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით, ამიტომ ვერ გაჩუქებ. თექვსმეტი წლის რომ გახდები, ოქრომჭედელს შენთვის გაგაკეთებინებ კარგ ხანჯალს და საჩუქრად მოგართმევ.

ბატირაიმ არაფერი უპასუხა და თავდახრილი თავისი ოთახისკენ წავიდა.

ამასობაში შემოდგომის მიწურულიც დადგა. მალე ზამთარიც შემოადებდა კარს. სოფელში უკვე ნელ-ნელა დაიწყეს ახალწლისთვის მზადება. მიუხედავად გაჭირვებისა, ადამიანები მაინც იმედით შეჰყურებდნენ ახალი წლის მოახლოებას; ფრონტებიდანაც რამდენიმე კარგი ცნობა მოვიდა, რამაც გააძლიერა ხალხის რწმენა საბოლოო გამარჯვებისადმი.

ყოველი წლის დეკემბრის თვის დასაწყისში გიორგი მჭედელს თელავში მიჰქონდა ხოლმე ერთი წლის დაუღალავი შრომით მოპოვებული შემოსავალი და იქ აბარებდა ბითუმად უკვე კარგადნაცნობ მოვაჭრეებს. ფულის ნაწილს სახლში ინახავდა, ნაწილი კი თბილისში მიჰქონდა სამრეწველო საქონლისა და საახალწლო საჩუქრების შესაძენად.

ვახშმის შემდეგ მჭედელმა მიმართა ბატირაის:

– ხვალ დილით ადრე თელავში მივდივართ. მოემზადე კახეთის დედაქალაქის სანახავად.

ბატირაის არაფერი უთქვამს, ჩუმად წავიდა თავისი ოთახისკენ.

დილით, მეზობლების დახმარებით სარდაფიდან ამოიტანეს და ურემში ჩატვირთეს ასამდე გუდა ცხვრის ყველი, რამდენიმე ტომარა ლობიო, სიმინდი და ხორბალი, ოცამდე თიხის ქილა ერბოთი, სამი ტომარა ბეკონი, ოთხი ტომარა კაკალი, რამდენიმე ასეული ჩურჩხელა, არაყი, ღვინო, თაფლი, ნიორი, ხახვი, გოგრა და სხვა.

თელავის ყველაზე გავლენიანმა ვაჭარმა შეიძინა ყველაფერი, რაც გიორგიმ და ბატირაიმ ჩაიტანეს; სახელდახელო სუფრაც გაუშალა სტუმრებს და ფულიც იქვე მიუთვალა.

არასდროს ენახა ბატირაის ამდენი ფული. ტანში რაღაც ურუანტელმა და შიშმა გაუარა, თუმცა ხმა არ ამოუღია და ჩვეულებისამებრ აქეთ-იქით აცეცებდა ღრმადჩასმულ თვალებს.

გიორგი ჩქარობდა – გრძელი გზა გვაქვს გასავლენ-

ლი, უნდა ვიჩქართო. მადლობა მოახსენა მასპინძელს, დაემშვიდობა და კიბეებზე დაეშვა. ბატირაი ხმის-ამოუღებლად გაჰყვა უკან.

ოჯახში გვიან დამემდე ელოდნენ გიორგის და ბატირაის, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ. შეწუხდნენ ახლობლები. გიორგის არ სჩვეოდა უმიზეზოდ დაგვიანება. ოჯახში იფიქრეს – ალბათ მასპინძელმა არ გამოუშვა და ხვალ ჩამოვლენო. გავიდა კიდევ ორი დღე, მაგრამ ოსტატი და შეგირდი არსად ჩანდნენ.

მეზობლის ბიჭს ცხენი შეუკაზმეს და თელავში გაგზავნეს ამბის გასაგებად.

ცუდი ამბავი ჩაიტანა საბუეში მეზობლის ბიჭმა – ალაზნის ხიდთან ჭალაში უპოვიათ მწყემსებს მოკლული გიორგი-მჭედელი. მილიციელებს უთქვამთ ცივი იარაღით აქესო გული გაპობილი. ჯიბეებში მხოლოდ თუთუნის ქისა და ტალ-კვესი აღმოაჩნდა, მეტი არაფერი. ბატირაი კი არავის უნახავსო.

დიდი პატივით მიაბარეს მიწას სოფელეთათვის საყვარელი და სამაგალითო კაცი.

მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ შეამჩნიეს ახლობლებმა, რომ ხალიჩიან კედელზე აღარ ეკიდა გვარის რელიეფია – მოვერცხლილი ხანჯალი.

გაბერილი კამერა

მისი გარეგნობა ხაზგასმით მიანიშნებდა ფიზიკურ სიძლიერეზე. მსხვილძვალა სხეულს დინჯად დაატარებდა მძლავრი ფეხებით. მკერდაზიდაული და განიერმხარბეჭიანი ბერძნული მითოლოგიის გმირებს წააგავდა. საუბარიც დინჯი და მოზომილი იცოდა, ისე როგორც კახელ კაცს სჩვევია. ის იყო მხოლოდ, რომ უკვე ასაკოვანს წნევის პრობლემა აწუხებდა, განსაკუთრებით მძიმე ნერვიულობის შემდეგ. ამიტომ იყო, რომ წნევის დასაწევი წამალი მუდმივად ედო ჯიბეში და საჭიროების შემთხვევაში ღებულობდა ერთ აბს.

გაიოზის მთავარი ღირსება კი მაინც ის გახლდათ, რომ საოცრად პრაქტიკული კაცი იყო. ყველაფერი ეხერხებოდა: დურგლობა, ხარატობა, ზეინკლობა, კალატოზობა, ფეხსაცმელების კერვა, ელექტრო თუ ავტოგენური შედუღება და კიდევ მრავალი სხვა რამ. საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოები და სარდაფები მინისაამქროებს მოგაგონებდათ. ყველა სახის ინსტრუმენტი, ხელსაწყო, თუ ინვენტარი ჰქონდა, რაც კი ადამიანს შეიძლება დასჭირდეს ოდესმე. უფრო მეტიც – ბევრი ისეთი სამარჯვი თუ მოწყობილობა ჰქონდა თავისი გონებითა და ხელებით შექმნილი, რომლებსაც არც ერთი ქარხანა არ ამზადებდა და რომელთა პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაც არავის მოსვლია თავში აზრად. მხოლოდ გაიოზმა

იცოდა მათი დამზადებაც და გამოყენებაც.

ზედმიწვევით კარგად იცოდა ფიზიკის კანონები და მათემატიკის საფუძვლები. საოცარ უნარს ამჟღავნებდა ამ კანონებისა და თვისებების პრაქტიკაში გამოყენების სფეროში, რითაც, მართლაც რომ გაცუბას იწვევდა ახლობლებში. მის მიერ შექმნილი ყველა ინსტრუმენტი თუ მოწყობილობა დაფუძნებული იყო თეორიულ პოსტულატებზე და პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობაზე.

დღე არ გავიდოდა, რომ მასთან ვინმე არ მისულიყო დახმარების სათხოვნელად. რა გამოლევს ოჯახში ათასნაირ გასაკეთებელ-შესაკეთებელს და გაიოზიც დაუზარებლად შრომობდა და ქმნიდა.

იტყოდა ხოლმე – მეზობელს უარს როგორ ვეტყვიო. თუმცა რამდენჯერმე დაიხივლა – საკუთარი საქმეებისათვის დრო აღარ მრჩებო.

ნადირობა და თევზაობაც კარგი იცოდა გაიოზმა. მონადირე ძაღლიც ყოველთვის მოვლილი, გაწვრთნილი და წარმატებული ჰყავდა. არასდროს დაურღვევია ნადირობის თუ თევზაობის წესები. პირიქით – იგი, როგორც მონადირეთა კავშირის წევრი, დაუნდობლად ებრძოდა და ამხელდა ბრაკონიერებს.

ახლა ბაღ-ვენახის მოვლას არ იტყვიო?! საცხოვრებელი სახლის ეზოში, მართლაც რომ საოცრებას ნახავდით. სულ რაღაც ოთხას-ხუთას კვადრატულ მეტრზე თითქმის ყველაფრის მოყვანას ახერხებდა. თუმცა გაცუბას იწვევდა არა ხილ-ბოსტნეულის მრავალფეროვნე-

ბა, არამედ ის, თუ გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა მიწის ის პატარა ნაკვეთი, რომელშიც გაიოზის, როგორც ხელოვანის, შრომა იყო ჩაბარულ-ჩათონილი. კონსტრუქტორის მიერ დახაზულ-დახატულ ხალიჩას გავდა გაიოზის „მამული“. ყველაფერი ლარში გასწორებული, ყველაფერი გასხლული, შეწამლული და ფაქიზი ხელით მოვლილი. იქვე იყო მოხდენილი სკამები და საჩრდილობლები ჩამოსაჯდომად და დასასვენებლად.. მართლაც რომ პატარა ედემი გახლდათ გაიოზის ბაღ-ბოსტანი. განსაკუთრებით უყვარდა და უვლიდა ვაზს. სახლში ყოველთვის ჰქონდა საუკეთესო დვინო და გამასპინძლებაც სამაგალითო იცოდა.

გაჭირვების წლებში გაიოზი უკერავდა ფეხსაცმელებს თავისი ოჯახის წევრებსაც და ახლობელ-ნათესაებსაც. ისეთი გულდასმით თლიდა ხოლმე ე.წ. „კალაპოტებს“, რომ ფეხსაცმელი ზედმიწევნით რბილად ეხებოდა ტერფის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრს და ქმინდა საოცარი კომფორტულობის შეგრძნებას.

მეზობლების, მეგობრებისა და ახლობელ-ნათესაების ოჯახებში დღესაც ინახება გაიოზის მიერ შექმნილი თუნდაც ერთი ნივთი თუ საყოფაცხოვრებო ატრიბუტი, შეკეთებულ-დამზადებული უანგაროდ და სიყვარულით.

გაიოზს ძალიან უყვარდა თავისი მიწა-წყალი. ხშირად მოგზაურობდა „ჟიგულის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანით ოჯახის წევრებთან, თუ მეგობრებთან ერთად. კარგად იცნობდა ისტორიულ ადგილებს და დიდ

პატივს სცემდა ეროვნულ საგანძურს.

მისი „უიგული“ კი მართლაც მინისაცხოვრებელი იყო. კარგად უვლიდა. თითქმის არასდროს მიუყვანია მანქანა ავტოტექმომსახურების სადგურში. ყველაფერს თვითონ აკეთებდა და არემონტებდა. შესაბამისი ყველა სამარჯვი, ისტრუმენტი და ხელსაწყო ჰქონდა და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმით არ ჩამოუვარდებოდა ე. წ. „ცნობილ მასტერებს“.

მანქანაში ყველაფერი ჰქონდა, რაც კი ადამიანს შეიძლება დასჭირდეს მოგზაურობის დროს – თავისთვის, ან სხვისთვის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისი „უიგული“ ერთგვარი მინისაცხოვრებელი იყო და ეს მართლაც ასე გახლდათ. მოგზაურობისას მანქანაში ყოველთვის ჰქონდა: დანა-ჩანგალი, ჭიქები, თეფშები, სამი-ოთხი ლიტრი ღვინო, ერთი ბოთლი არაყი, ხელსაწმენდები, მინიმაყალი და მინიშამფურები, ერთი პარკი ნახშირი მწვადის შესაწველად, სანადირო თოფი, სათევზაო მოწყობილობა, საძილე ტომარა, რამდენიმე თვითნაკეთი და საკეცი ტაბურეტი, ბინოკლი, გულისა და წნევის წამლები, ტკივილგამაყუჩებელი, ბინტი, ბამბა, მინერალური წყალი და ა.შ.

ეს ყველაფერი კი ისე აკურატულად და რაციონალურად ჰქონდა საბარგულში, სალონში და ე. წ. „ბარდაჩოკში“ განლაგებულ-ჩაწყობილ-დამაგრებული, რომ უცბათ ვერც კი შეამჩნევდით და არც რაიმე დისკომფორტს იგრძნობდით.

საოცარ კაცს ეძახდნენ გაიოზს და ის სრულად ამართლებდა ამ ეპითეტს. საოცრებასთან ერთად იგი გამოირჩეოდა არგაგონილი სიზუსტით და პუნქტუალობით. ყოველ წუთს უფროხილდებოდა, ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა შენახულ-განთავსებული და ყველაფერს თავის დროზე აკეთებდა. მოკლედ, ის იყო კაცი-მექანიზმი.

განსაკუთრებული კეთილი ხასიათითაც იყო იგი გამორჩეული. მუდამ მზად იყო უანგაროდ დახმარებოდა ყველას, ვისაც კი რაიმე მხარდაჭერა სჭირდებოდა. გულწრფელად სჯეროდა და სწამდა, რომ ადამიანის დახმარება და გაჭირვების ჟამს მხარში დგომა უწმინდესი ნიჭი და უნარია ღვთის მიერ ბოძებული. არაერთხელ დაუთმია საკუთარი ინტერესები სხვისი ინტერესების სასარგებლოდ და ამით ბედნიერად გრძნობდა თავს.

მეზობლებს და მეგობრებს ეხმარებოდა დაბარვა-გათოხნასა თუ შეშის დაპობაში. შუადამისას დაუფიქრებლად ადგებოდა და თავისი მანქანით წაიყვანდა ავადმყოფს ექიმთან; ცეცხლწაკიდებულ სახლშიც შევარდნილა და ბავშვი გადაურჩენია. გაჭირვებული ოჯახისთვის საახალწლოდ ღვინო ხშირად მიუროთმევია. ჭირისუფლებს მუდამ მხარში ედგა და აგვარებდა დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხებს; ქარ-ყინვიან ამინდში უცნობებისთვის ხშირად გაუჩერებია მანქანა და სახლებში ჩამოურიგებია. მოკლედ, დადიოდა კაცი და სიკეთეს თესდა ირგვლივ.

ერთხელ, მეგობრებთან ერთად დასავლეთ საქართველოში გასამგზავრებლად ემზადებოდა, მანქანას აწესრიგებდა და აკომპლექტებდა ყველა საჭირო ატრიბუტით. თანამგზავრებმა შეამჩნიეს საბარგულში მანქანის გაბერილი კამერა. მის ახლობლებს ხშირად უნახავთ საბარგულში გაბერილი კამერა, მაგრამ არასდროს დაინტერესებულან მისი დანიშნულებით. ამჯერად კი მორიდებულად შეეკითხნენ – რად გინდა ეს გაბერილი კამერა; ბოლო-ბოლო ოთხნი ვიქნებით და ერთ კამერას როგორმე გაგებრავთ თუ საჭირო იქნებაო.

გაიოზმა, ჩვეულებისამებრ უცბათ არ გასცა პასუხი. მცირე პაუზის შემდეგ კი განუცხადა: „აბა, რა გითხრათ ბიჭებო; რაც მანქანა მაქვს, ამ გაბერილ კამერას დავატარებ საბარგულში; უფალმა დაიფაროს და იქნებ წყალში დასახრჩობად განწირული კაცი გადავარჩინო. მე ცურვა არ ვიცი და თუ მომიწია ასეთ ფაქტთან შეხვედრამ – გადავუგდებ და ღმერთსაც შევთხოვ დახმარებას“.

თანამგზავრებმა გოცვებით გადახედეს ერთმანეთს და ხმა აღარ ამოუღიათ.

ორი დღის შემდეგ დაბრუნდნენ დასავლეთ საქართველოდან ფრიად ნასიამოვნები და გახარებულები.

გაიოზის პრაგმატულმა ქმედებებმა ხომ სულ გადარია ეს ხალხი – ასეთი კაცის მნახველები არ ვართო, გაიძახოდნენ ერთხმად.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გაიოზს ისევ

მოუწია დასავლეთისკენ წასვლამ. სამტრედიიდან შეატყობინეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის გარდაცვალების შესახებ.

შეწუხდა გაიოზი. გულზე სიმძიმე შემოაწვა, მაგრამ გაიმხნევა თავი და სამგზავრო მზადებას შეუდგა.

მანქანას ამოწმებდა და თან ცას შეჰყურებდა. დასავლეთის მხრიდან შავი ღრუბლები მობობდავდა. ტელეგადაცემიდან იცოდა, რომ იქ დასაცლეთ საქართველოში უკვე სამი დღეა, რაც კოკისპირულად წვიმდა და მდინარეებიც ძალიან იყო ადიდებული.

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა საჭეს ჩასჭიდა თავისი ძლიერი ხელები და გეზი აიღო სამტრედიისკენ. გორს რომ გასცდა, საშინელი ქარი ამოვარდა და თავსხმა წვიმაც წამოვიდა. სიჩქარეს უკლო და დაკვირვებით ათვალიერებდა გარემოს. ჭექა-ქუხილმაც იმატა და ცა შავმა ღრუბლებმა დაქუფრა.

ტრასაზე არცერთი მანქანა არ მოძრაობდა, არც არავის გადაუსწრია და არც შემხვედრი მანქანა



ჩანდა. გარდაცვლილ მეგობარზე ფიქრმა ჩაითრია. აწუხებდა უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახის სამომავლო ბედი.

სარკეში შეამჩნია, თუ როგორ უახლოვდებოდა შავი „ვოლგა“. კარგი მანქანააო „ვოლგა“. როცა იქნება გავეიდი ამ ჩემს წითელ „ლურჯას“ და შევიძენ „ვოლგას“, ოღონდ თეთრსო – გაერთო ფიქრებში გაიოზი.

„ვოლგაში“ ჭადაროსან მამაკაცს პატარა ბიჭი ეჯდა გვერდით.

მოუმატე პაპა სიჩქარეს, გადავასწროთ იმ წითელ „ჟიგულს“.

– სად გვეჩქარება, ხომ ხედავ საშინლად წვიმს. ასფალტი სველია, სახიფათოა დიდი სიჩქარით მოძრაობა. ნუ ნადვლობ, დროზე ჩავალთ.

წითელი „ჟიგული“ აღიდებულ მდინარეზე გადაბულხიდს უახლოვდებოდა. გაიოზმა შეუძლოდ იგრძნო თავი; შუბლზე ცივმა ოფლმა გამოაყარა და თავბრუ ესხმოდა; ჯიბისკენ წაიღო ხელი...

– შეხედე, შეხედე, პაპა, როგორ აქეთ-იქით ქანაობს ის მანქანა; მოვრალი ხომ არ არის ნეტავ მძღოლი?!

– არა მეონია მოვრალი იყოს; შეიძლება მოუცურდა;

– უყურე, პაპა, ხან მარცხნივ გადაქანდა და ხან მარჯვნივ, ხომ არ ჩაეძინა?

– დაწყნარდი, გენაცვალე, ახლავე წამოვეწვივით

და გავარკვევთ, თუ რა ხდება.

პაპამ მოუმატა სიხქარეს, მაგრამ მანამ წამოეწყო-და, წითელმა „ჟიგულმა“ დიდი სიხქარით შეიქროლა ხიდზე, დაეტაკა მოაჯირს, გაანგრია და მდინარეში გადაეშვა.

ვაიმეო, შესძახა პატარა ბიჭმა და პაპას მიაშტერდა შეშინებული თვალებით.

„ვოლგიდან“ გადმოსულებმა ყურადღებით დაათვალიერეს აბობოქრებულ-ამღვრეული მდინარის ზედაპირი, მაგრამ მძლოლი არსად ჩანდა. ნაპირისკენ ჩაირბინეს პაპამ და შევილიშვილმა. იქიდანაც ვერაფერი დაინახეს. საშინლად უძგერდა გული ჭაღაროსან მოხუცს. უბედურების ზარის რეკვა ესმოდა.

ბავშვმა შორს, სადღაც გაიშვირა თითი. იქ, სულ რამდენიმე წამით გამოჩნდა ძლიერ ტალღებთან უშედეგოდ შერკინებული კაცი, რომელიც ხელებს იქნევდა. სულ რამდენიმე წამში ყველაფერი დამთავრდა. აზვირთებულმა, ქვალორდიანმა მდინარემ სამუდამოდ გააჩერა გაიოზის გულისძგერა.

ჭაღარა პაპა უღონოდ ჩაიკეცა და ქვითინი დაიწყო. ხიდზე კიდევ ორიოდ მანქანა გაჩერებულიყო და მგზავრები ინტერესით იცქირებოდნენ ქვემოთ.

შვილიშვილი სლუკუნით მიუჯდა პაპას გვერდით და თვალცრემლიანმა წარმოსთქვა: „ნეტავ გაბერილი კამერა გექონოდა, გადაუფუგდებდით იმ კაცს, იქნებ გადარჩენილიყო“.

სამი სიმი

სოფელში შეძლებულ გლეხკაცად იცნობდნენ გიორგის. უკვე სამოც წელს გადაცილებულ ჭადარა-მორეულ კაცს ჯერ კიდევ მოსდევდა ახალგაზრდული ჯან-ღონე და შემართება. პატარაობიდანვე შრომას იყო შეჩვეული და ვერასდროს ნახავდნენ უსაქმურად მჯდომს. დღედაღამ ბაღ-ვენახში და წალკოტადქცეულ ეზოში ტრიალებდა და ფუსფუსებდა. საწოლს მიჯაჭვულ მშობლებს განსაკუთრებული მზრუნველობით ევლებოდა თავზე, რომ იტყვიან, ცდილობდა „ცივი ნია-ვი არ მიჰკარებოდათ“.

გიორგი ყველას უყვარდა და ყველა პატივს სცემდა. განსაკუთრებით აქებდნენ მის ხელგამლილობას და პატიოსნებას. მეუღლეც ისეთი შეხვდა, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდა. კეთილი შურით შურდათ მათი შესამატკბილებული ცხოვრებისა. იტყოდნენ ხოლმე – აი, ამას ჰქვია მეუღლე, უღელში შენთან ერთად რომაა შებმული და ცხოვრების მძიმე ჭაპანს შენთან ერთად რომ ზიდავსო.

გვიან შეირთო გიორგიმ ცოლი. მშობლები დაუხინებით მოითხოვდნენ მის დაოჯახებას – შვილიშვილები გვადირსე, ისე ნუ გაგვისტუმრებო იმქვეყნად. გიორგი არ ჩქარობდა. თუ ქალი არ შემოიყვარდა, ისე როგორ შეეკმნა ოჯახიო. როგორ უნდა ვიყოთ ერთად მთელი სიცოცხლე, ან როგორი შვილები უნდა

აღვზარდოთ, თუ ერთმანეთი არ გვეყვარებაო – იტყოდა ხოლმე გიორგი და თან დააყოლებდა: „ცოტა კიდევ დამაცადეთ და გაგახარებთო“.

მუხლმოუდრეკელ შრომაში ჩაძირულს შეუმჩნევლად მიუკაკუნა ორმოცმა წელმა. ჭადარით შევევრცხლა საფეთქლები. ცოტა დროც გავიდა და ერთ მშვენიერ დღეს სოფელში ხმა დაირხა – გიორგის ლომკაცაანთ ქეთევანი შეჰყვარებია და მალე ქორწილიც ექნებათო. გაიხარა მთელმა სოფელმა ამ ამბის გამგონემ.

სამი დღე გაგრძელდა ღხინობა. შეუწყვეტლად გუგუნებდა კახური მრავალჯამიერი ეზოში გაშლილ სუფრაზე. უხვად შეისვა გიორგისეული რქაწითელი. სოფელში არ დარჩენილა ერთი კაციც კი, ვისაც არ მიელოცოს და დაელოცოს მამაპაპეულ სახლ-კარზე აღმოცენებული ახალი ოჯახი.

ცხრა თვის თავზე ორი ტყუპი ბიჭი შეეძინათ ქეთევანს და გიორგის. სახელები დედამ შეარჩია – ტარიელი და ავთანდილი.

შრომას მოუმატა გიორგიმ; ამბობდა – ახლა უფრო მეტი გარჯაა საჭირო, ცოლშვილს რომ არაფერი მოვაკლოო. ისიც კარგად იცოდა გიორგიმ, რომ ბიჭებს ღირსეულად უნდოდათ აღზრდა, სწავლა-განათლების მიღება, შრომის სიყვარულის ჩანერგვა, კაიკაცობაში გამოჭედვა და კაცთმოყვარეობის შთაგონება. ამიტომ თავს არ ზოგავდა, რომ იტყვიან – „წლებზე ფეხს იდგამდა“ და ფუძე-კარიც უფრო მოძლიერდა, გახალისდა და გალადდა.

ერთი სიმღერის მელოდია ჰქონდა აჩემებული და გამუდმებით ღიღინებდა – მარანში თუ ბად-ვენახში, ბელელში თუ თავლაში, წისკვილში თუ ტყეში. ის კი იყო, რომ დაბალ ხმაზე დუდუნებდა და ძნელი გასარჩევი იყო ტექსტის სიტყვები, თუ შინაარსი. ხშირად უთქვამთ – კაცო, გაგვაგებინე რას მღერისარ, იქნებ ჩვენც აგყვეთო; გიროგის გაელმებოდა და აგრძელებდა ღიღინს ისევ თავისებურად.

დრო კი უღმობლად გადიოდა. გიროგის მშობლების მდგომარეობა მიძიმებოდა. ტარიელი და ავთანდილი საულვაშე ღინდლით შეიმოსნენ. ულამაზესი ქეთევანი სოფლის საუკეთესო დიასახლისად მონათლეს. გიროგი კი განაგრძობდა შრომას.

არც სუფრას ივიწყებდა და თავის მყუდროდმოწყობილ, კახური დოვლათის სურნელით გაულენთილ მარანში უახლოეს მეგობრებთან ერთად კვირაში ორჯერ მაინც თამადაობდა და განუწყვეტლივ ღიღინებდა საყვარელ მელოდიას.

ერთხელაც სუფრაზე შემოათენდათ. მეგობრები შეუჩნდნენ – ერთი გაგვაგებინე, რას ღიღინებ და ვის უმღერი. უკვე რამდენი წელია ეგ მელოდია ჩვენც შეგვიყვარდა, მაგრამ ტექსტი იქნებ გაგვაგებინო, რა სიტყვებია, ვინ დაწერა, ან ვის ეძღვნებაო. დათვივით ბურდღუნებ და ვერაფერს ვგებულობთო.

მოვა დრო და ყველაფერს გაიგებთო – უპასუხა გიორგიმ.

არა, ახლავე უნდა გაგვაგებინო რას მღერიო, გა-

ჯიუტდნენ საკმაოდ შემთვრალი თანამესუფრენი. კარგო, დათანხმდა გიორგი. უღვაშებზე მაჯა გადაისვა, ყანწი შეივსო და ძალდატანებული სიღინჯით წამოიწყო:

„სამი სიმი მაქვს სამღერად,
სამივეს ვენაცვალე,
გიკვირთ – მიღიმის სახე რად?!
იმად, რომ არ მაქვს ვალები,
თუ ეს სიმები გამიწყდა,
დამიტირებენ ქალები“.

ვახ, რა კარგი ტექსტი ყოფილაო, ერთხმად აღნიშნეს მისმა მეგობრებმა.

ტექსტი კი კარგია, მაგრამ რომელ სამ სიმზეა ლაპარაკიო – შენიშნა ერთმა და მოითხოვა განმარტება. გიორგიმ არაფერი უპასუხა, თიხის ჯამი შეივსო და განაგრძო ღიღინი.

არ ეშვებოდნენ მეგობრები. გაგვაგებინე კარგად, რომელ სიმებზეა ლაპარაკიო. მოვა დრო და გაიგებთო, ჩაიდუდღუნა გიორგიმ. მამლის ყვილზე ისე აიშალნენ, რომ მეგობრებმა მაინც ვერ გაიგეს, რომელ სამ სიმს უღიღინებდა გიორგი.

იღვა 1941 წლის ზაფხული. ევროპაში ომი მძვინვარებდა. საბრძოლველად წავიდნენ ტარიელი და ავთანდილი. ხუთი თვის შემდეგ სამკუთხედი ბარათი მიუტანეს გიორგის, კარგად ვართ, ჩვენზე არ იდარდოთ, ფაშისტებს დედა უნდა ვუტიროთო, – იწერებოდნენ ტყუპი ძმები.

ორი წელი გავიდა. სოფელში მამაკაცების ნაკლებობა შეიქმნა – ზოგი გაიწვიეს, ზოგიც მოხალისედ წავიდა საომრად. ტყუპებისგან არაფერი ისმოდა. გიორგი ხშირხშირად დადიოდა თელავის კომისარიატში, ტყუპების შესახებ რაიმე ამბის გასაგებად, მაგრამ ამოდ. სადაც კი ყავარჯნებიანს წააწყდებოდა, გამოჰკითხავდა მუდართ – ჩემი ბიჭები ხომ არსად გინახიან და გუღღამძიმებული ბრუნდებოდა სოფელში. ქეთევანისთვის თვალეებში შეხედვის ერიდებოდა, თითქოს რაიმე დაეშავებინოს.

უკიდურესად დაძიმდა გიორგის მშობლების მდგომარეობაც. თელაველმა ექიმებმა მოუხშირეს გიორგის სახლში სიარულს. თბილისიდანაც ჩამოიყვანეს გამოცდილი სპეციალისტები, მაგრამ სასიკეთოდ ვეღარ შემოატრიალეს მოხუცები. ერთიმეორის მიყოღღებით გააციღღეს უკანასკნელ გზაზე გიორგის მშობლები. დადარდიანდა სოფელი.

არც ფრონტიდან მოდიოდა სახარბიელო ამბები. სოფელში ბევრმა დედამ და მეუღლემ ჩაიცვა შავი. გიორგიც დადარდიანებული დააბოტებდა ორღობეებში. ის კი შეამჩნიეს მეღობრებმა, რომ ბზარი გასჩენოდა ხმაში და საღღაც მკერდის სიღრმიდან ამოსულ სიტყვებსაც ხავსი მოსღებოდა, ისე აღარ ჟღერდა, როგორც უწინ.

ორმოცი დღის თავზე, მიცვაღღებულთა სუღღის გახსენების სამღღლოვიარო ცერემონიაღღის შემღღევ, სუფრას გვიანღობამღღე შემორჩენენ გიორგის უახლოესი მე-

გობრები.

ოდნავ შემთვრალმა გიორგიმ მორიგი სადღეგრძელო შესთავაზა მეგობრებს და კაემანმოძალეულმა ჩაიღვინა:

„...მთავარი სიმი ჩამიწყდა,
ორიღა დამრჩა სამღერად...“

მეგობრებმა გააკრვებულებმა გადახედეს ერთმანეთს. მიხვდნენ რა სიმებს უმღეროდა ხოლმე გიორგი, თუმცა დაზუსტებით ვერ იტყოდნენ, დანარჩენ ორ სიმში ვის, ან რას გულისხმობდა დაობლებული კაცი.

დამთავრდა ომი. საბრძოლველად წასულთაგან მცირე ნაწილიღა დაუბრუნდა სოფელს. ვერავინ დაამშვიდა გიორგი და ქეთევანი. არავინ აღმოჩნდა ტყუპების მნახველი.

დარდისგან წელში მოიღუნა გიორგი და თითქოს რაღაცნაირად დაპატარავდა კიდევ. მორიდებით ესალმებოდნენ თანასოფლელები. არ იცოდნენ, რგორ ენუგეშებინათ. მხოლოდ განუყრელი მეგობრები არ შორდებოდნენ გვერდიდან; ცდილობდნენ გაემხნევებინათ, მაგრამ დარდის ჭიას ღრმად შეედწია ჯანმაგარი გლეხკაცის სხეულში და განუწყვეტლივ ღრღნიდა.

მოუსვენრობა დასჩემდა. ადგილს ვეღარ პოულობდა. საოჯახო-სამეურნეო საქმიანობასაც თანდათან ზურგი შეაქცია. საკუთარ თავში ჩაიკეტა და გაითიშა.

ფოსტალიონმა შეტყობინება მოუტანა. თელავში, სამხედრო კომისარიატში სთხოვდნენ მისვლას. ცუდი ამბავი დაახვედრეს გიორგის. უკრაინიდან იყო მოსული

შეტყობინება – მდინარე დნეპრის გადალახვის დროს დაიღუპნენო ტყუპები.

თვალთ დაუბნელდა გიორგის და ალბათ ხელი რომ არ შეეშველებინათ, იატაკზე გაიშხლართებოდა. მალევე მოვიდა გონს. შეტყობინება მოკეცა და უბის ჯიბეში შეინახა. მერე ლასლასით დაეშვა კიბეებზე და მძიმე ნაბიჯებით გაუყვა ავტოსადგურისკენ მიმავალ ქუჩას.

უახლოვდებოდა სოფელს და ფიქრობდა მძიმე ფიქრით: „აჯობებს არაფერი შევატყობინო ქეთევანს, ცოდოა დედა, ვერ გადაიტანს ამ ამბავს; მე როგორმე გავუძღვებ; არაფერი უნდა შემატყოს; იქნებ შეეშალათ რამე, ხომ არ წავიდე უკრაინაში; ხომ შემეკითხება რად მიდიხარო, რა ვუპასუხო“. ამ ფიქრების აბლაბუდაში გახლართული მიაღვა უახლოეს მეგობარს და შეატყობინა თავსდატეხილი უბედურების შესახებ. მეგობარმა გულში ჩაიკრა შეიღებდალუპული მამის ჩვარივით მოთენთილი სხეული და გაძღვება უსურვა. ისიც უთხრა: „ნუ ეტყვი ქეთევანს, ცოდოა ქალი. ისევ ის ჯობია მოლოდინის ანაბარად დავტოვოთ, იმედით იცოცხლოსო. უკრაინაში კი სხვა ვინმე გავაგზავნოთო“.

– რა ქენი, გაიგე რამე, შეეკითხა ოთახში შესულ მეუღლეს ქეთევანი.

– ვერაფერი გავიგე, არავინ არაფერი იცისო, უპასუხა გიორგიმ და გვერდითი ოთახისკენ წავიდა.

ლოგინშიმწოლიარე ქეთევანს არ მოეწონა გიორგის ხმა, რაღაც ცუდის წინათგრძნობამ შეიპყრო სრუ-

ლად. მეექვსე გრძნობით მისვლა, რომ გიორგი რაღაცას უმაღლავდა. ხმა აღარ ამოუღია. ერთკვირიანი ავადმყოფობით ისე იყო დასუსტებული, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა.

საშემოდგომო მოსავალი როგორც იქნა დააბინავა გიორგიმ, მაგრამ ყველაფერს უხალისოდ და ძალდატანებით აკეთებდა. სადღაც გამქრალიყო მისი შემართება და შეუპოვრობა. აღარც მისი ჩვეული ღიღინი გაუგონიათ ახლობლებს.

ქეთევანი გამოჯანმრთელდა და ჩვეული მუყაითობით გაუძღვა დიასახლისის საქმიანობას, თუმცა ერთთავად დაღონებული იყო და გულდამძიმებული.

ერთდღეს გიორგის უთხრა: „წისქვილში საფქვავს წავიდებ, მჭადი მომენატრაო.“ მეუღლემ ძლივს წაიღულღულა: „გადი, ცოტა გაიარ-გამოიარე, მეზობლები მოინახულე, გაერთობი და ლოდინის სიმძიმეც შეგიმსუბუქდებაო“.

დოლაბების ხმაურში, წისქვილშიმყოფმა ქალებმა ვერ გაიგეს ქეთევანის მისვლა. განაგრძობდნენ ხმამაღალ საუბარს.

– საწყალი გიორგი, როგორ გაუბედურდა კაცი, სულ შეიცვალა.

– აბა რა იქნება, ტყუპი ბიჭის დაკარგვა ადვილი გადასატანია, კიდევ კარგად არის, კაცია და უძლებს.

– მაინც როგორ მოხდაო ეგ ამბავი, რას ამბობენ.

– უკრაინიდან მოსულა შეტყობინება, დნეპრის გადალახვის დროს დაბომბვაში მოჰყვნენ და დაიღუპნენო.

– საბრალო ქეთევანი, ალბათ არ იცის, თორემ თავს როგორ იცოცხლებდაო.

გვიან შეამჩნიეს წისქვილის შესასვლელ კართან, იატაკზე უმოძრაოდ გაშხლართული ქეთევანის სხეული.

ორი დღეა იცოცხლა ქეთევა-

ნმა. მესამე კუბო გაიტანეს გიორგის მამაპაპეული სახლკარიდან. აღარც გიორგის უცოცხლია დიდხანს.

ლოგინში ატარებდა უმეტეს დროს. აღარც ჭამდა და აღარც სვამდა. მეგობრები არ შორდებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ როგორმე დაებრუნებინათ და ჩაერთოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ვერას გახდნენ.

იანვრის ერთ სუსხიან დილით მეზობლის ბიჭი, რომელმაც რძე შეუტანა, თავის მეგობრებთან გააგზავნა და დააბარა – ახლავე მოვიდნენო.

ოთახში შესულებს ოდნავშესამჩნევი ღიმილით მიესალმა და ბუხრის წინ გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა. წვერი გაეპარსა და სადღესასწაულო ტანსაც-



მელში გამოწყობილიყო. სინუმეს ბუხარში შეყრილი ხმელი შეშის წკაპა-წკუპი არღვევდა.

მომენატრა თქვენთან შეხვედრა, იქნებ თითო ჯამი დაეღიოთ და დარდი გადავაყოლოთო, აკანკალებული და დასუსტებული ხმით მიმართა გიროგიმ. დაჩამიჩუბული თითებით ჩაეჭიდა თიხის დოქს და ჯამები შეავსო. ორი-სამი სადღეგრძელოს შემდეგ ცუდად იგრძნო თავი.

– მაპატიეთ, მე ტახტზე მივწევი, თქვენ გააგრძელეთ, არაფერი მოიკლოთ, – წარმოსთქვა ძლივსგასაგონად და წამოწვა. მერე წამოიწია, ზურგით მიეყუდა ბალიშს და ხელი გამოიწოდა – ერთი შემძვსეთ ჯამი და მომაწოდეთო.

მძიმედ სუნთქავდა; საუბარი უჭირდა; რაღაცის თქმას აპირებდა და ძალას იკრეფდა. ბოლოს ოდნავგასაგები, მისუსტებული ხმით სცადა ჩვეული მელოდიის წადილინება:

„...სი...მი სამი...ვე გ...ამიწყდა,

მეც გ...ავხდი დასატირა...“

ვეღარ დაამთავრა სათქმელ-სადილინო, ჯამი ხელიდან გაუვარდა და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

წითლად შეიღება საწოლთან გაფენილი ცხვრის თეთრი ტყავი.

ეზოდან მოისმოდა გიორგის საყვარელი ძაღლის ყმუილის ხმა.

პანო და მიხო

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
 რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
 ...სად წაიყვან სადაურსა,
 სად აღუფხვრი სადით ძირსა!?“
 (შ. რუსთაველი)

ისინი მეზობლები იყვნენ. ერთად იზრდებოდნენ, ერთ სკოლაში და ერთ კლასში სწავლობდნენ, ერთად მიდიოდნენ და გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც ერთად მიდიოდნენ სახლში. თუ მასწავლებელი რომელიმეს დატოვებდა გაკვეთილების შემდეგ დამატებითი მეცადინეობისთვის, მეორე გარეთ ელოდებოდა და მაინც ერთად ბრუნდებოდნენ სახლში. ორივე ოჯახი, ორივე ბიჭს თავის შვილებად თვლიდა და აღერსსა და ზრუნვას არ აკლებდა. მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ ერთად ხედავდნენ. ხან ერთ ოჯახში სადილ-ვახშმობდნენ და სწავლობდნენ გაკვეთილებს და ხან მეორეში. უყვარდათ ერთმანეთი ერთად გაზრდილ-შეზრდილებს. ძმებივით იყვნენ, თუმცა გარეგნულად ძალიან განსხვავდებოდნენ.

შავტუხა მიხო ძვალმსხვილი და კუნთმაგარი ბიჭი იყო, ვანო კი უფრო სუსტი აღნაგობის და ქერ-

ათმიანი. ორივეს ცისფერი თვალები ჰქონდა და სა-
ოცრად მიმზიდველი ღიმილი დაჰკრავდა სახეზე.
გამორჩეულები იყვნენ უბანში. კარგად სწავლობდნენ
და თავისუფალ დროს აქტიურად იყვნენ ჩართული
საოჯახო საქმიანობაშიც: მშობლებს ეხმარებოდნენ
პატარა დების მოვლა-პატრონობაში, შეშას ჭრიდნენ,
ღუმელს ანთებდნენ, წყალს ეზიდებოდნენ კოკებით,
ძროხები და თხები დაჰყავდათ გამოსაკვებად ახლომ-
დებარე ტყეში, ბაზარშიც ხშირად მიდიოდნენ საყ-
იდლებზე და ა.შ. მოკლედ ჭინჭარაულებისა და ბე-
ქაურების ოჯახების სრულფასოვანი წევრები იყვნენ
და მშობლებიც ბედნიერებად თვლიდნენ თავს ასეთი
შვილების ყოლით.

ვანო და მიხო საბავშვო თამაშ-შეჯიბრებებშიც
ხშირად გამოდიოდნენ ხოლმე გამარჯვებულები. ახ-
ლომდებარე სკოლის დიდ ეზოში იკრიბებოდნენ ხოლ-
მე მიმდებარე უბნების ბავშვები და დაღამებამდე ის-
მოდა მათი უვიღ-ხივილი. ზოგი ჩილიკაობდა, ზოგი
კინკლაობდა. ყველაზე პოპულარული კი მაინც ლახ-
ტი იყო და ფეხბურთი. ვანო და მიხო ყოველთვის
ერთ გუნდში იყვნენ და თავის მოხერხებულობით და
თავგანწირვით არაერთხელ მოუტანიათ გამარჯვების
სიხარული თანაგუნდელებისათვის.

ჩხუბიც ხშირად გაუმართავთ წამოყვინჩილებულ
ბიჭებს ამათუიმ სათამაშო მომენტის არაერთგვა-
როვანი შეფასების გამო. წყვილად ჩხუბშიც მაგრები

იყვნენ ვანო და მიხო. არასდროს დამარცხებულან. დამარცხებულად კი ის ითვლებოდა, ვისაც პირველად წამოუვიდოდა ცხვირიდან სისხლი. ჩხუბიც მაშინვე ჩერდებოდა და ბოღმა და სირცხვილი მეორე დღემდე თუ გასტანდა. მეორე დღის საღამოს კი ჩვეულებრივ შეიკრიბებოდნენ, დაიყოფოდნენ გუნდებად და თავაწყვეტილები დარბოდნენ და თამაშობდნენ დაღამებამდე, ისე რომ არც ახსოვდათ წინადღის დამარცხებით გამოწვეული გულისტკივილი, თუ ცხვირიდან სისხლის დენა.

დრო კი მიჰქროდა კარგადგაწვრთნილი რაშივით. წამოიზარდნენ ბიჭები, ღინღლი მოეძალათ ზედა ტუჩზე. ძუძუს კერტები დაებერათ. ხმა დაუბოხდათ. მეცხრე კლასში იყვნენ უკვე და ოქროს ატესტატზე ოცნებობდნენ.

ერთდღეს ცალ-ცალკე დაბრუნდნენ სკოლიდან ვანო და მიხო. მშობლებს გაუკვირდათ ეს ამბავი, მაგრამ ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ვანოს დედამ შეამჩნია, რომ იმ საღამოს ბიჭი ხშირ-ხშირად და უჩუმრად იხედებოდა სარკეში და ცხვირსახოცს ისვამდა ცხვირზე. როცა ვანომ დაიძინა, დედამ შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ელდა ეცა. ცხვირსახოცი სისხლიანი იყო. ეჭვმა შეიპყრო. გაახსენდა სკოლიდან ცალ-ცალკე დაბრუნებული ბიჭები და გული დაუმძიმდა – ვაი, თუ ბიჭებმა ერთმანეთში იჩხუბესო. გვიანი ღამე იყო, როცა ბე-

ქაურებთან გადავიდა და მიხოს დედას გაუზიარა თავისი ნაფიქრალი. შეწუხდა ბექაურების დიასახლისი. დილამდე დავიცადოთ და თუ სკოლაში ერთად წასვლაზე უარი თქვეს, ალბათ შენი ეჭვი დადასტურდებაო, დაღონებულმა წარმოსთქვა მიხოს დედამ და ეზოს კარამდე გააცილა მეზობელი.

მეორე დღეს ერთად აღარ წასულან სკოლაში ვანო და მიხო. დაღონდნენ მშობლები, არ იცოდნენ რა მოემოქმედათ. ამას ისიც დაემატა, რომ მეზობლის გოგომ მერცხალივით ჩაუჭიკჭიკა მათ – ვანოს და მიხოს ჯავშანანთ თამილა უყვართ და იმის გულისთვის იჩხუბესო.

ამ ამბის შემდეგ კიდევ ბევრჯერ იჩხუბეს ბიჭებმა თამილას გულისთვის. ოჯახებს შორის მეგობრულ ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა. გამოსავალს ვერ პოულობდნენ. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა იმით, რომ ბიჭები ჩხუბს არ წყვეტდნენ ცხვირიდან სისხლის გამოდენისთანავე. ჯანმომატებულები და ჩხუბში გამოტყედილები გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს და თავგანწირულნი ცდილობდნენ გამარჯვებულის ტიტულის მოპოვებას.

გამარჯვებული კი მუდამ კუნთმაგარი და უფრო მოხერხებული მიხო გამოდიოდა.

ერთხელაც ვანო სახლში ერთიანად გასისხლიანებული დაბრუნდა – ორივე თვალი ჩალურჯებული-ჩასისხლიანებული ჰქონდა, ტუჩიც გახეთქილი

ჰქონდა და ცხვირიდანაც სისხლი სდიოდა. მშობლებს გულს შემოეყარათ მის დანახვაზე. ამდროს მათთან ქუთაისიდან სტუმრად იყო ჩამოსული ვანოს მამის ძმა. დაწვრილებით მოისმინა რა შექმნილი ვითარების შესახებ, ბიძამ გადაწყვიტა ქუთაისში წაეყვანა ძმისშვილი.

შვილივით გავზრდი და სკოლასაც იქ დავამთავრებინებო, განუცხადა მშობლებს, რომლებსაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ამის შემდეგ ვანოსა და მიხოს ერთმანეთი აღარ უნახავთ.

მიხოს ცხოვრებამაც თითქოს აზრი დაკარგაო. სწავლას უკლო. ოჯახურ საქმეებსაც აღარ ეკარებოდა. ვითომსიყვარულიც სადღაც გაქრა. აღარც კი ახსენდებოდა თამილას არსებობა. გულდამძიმებული და დაღონებული მიმოდოდა სახლსა და სკოლას შორის. აღარც სკოლის ეზოში დადიოდა სათამაშოდ. ინტერესი დაკარგა ყველაფრისადმი.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ უსაყვარლესი ადამიანი, ძმადშეზრდილი ადამიანი სამუდამოდ დაკარგა, რასაც მწარედ განიცდიდა. თავი დამნაშავედ მიაჩნდა და გამოსავალს ეძებდა. ბოლოს თავისთვის გადაწყვიტა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ჩავიდოდა ქუთაისში, მონახავდა ვანოს, ჩაეხუტებოდა და ბოდიშსაც მოუხდიდა. იმედი ჰქონდა, რომ ვანო აპატიებდა.

ცოტა გულზე მოეშვა, ოდნავ გახალისდა, მაგრამ თვითადიარებული დანაშაულის სიმძიმე მაინც კიდევ დიდხანს დააწვება მის ჯერ კიდევ ჭაბუკურ გულს. ველარ მოახერხა თავისი ჩანაფიქრის აღსრულება და ქუთაისში ჩასვლა. სკოლის დამთავრებისთანავე საყოველთაო მობილიზაციით გაიწვიეს ჯარში. სამთვიანი წინასწარი მომზადების შემდეგ კი გააგზავნეს ფრონტის წინა ხაზზე ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასე შედგა ფეხი თვრამეტი წლის მიხო ბექაურმა ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე საფეხურზე. დადგა დრო, როცა მიხოს უნდა დაემტკიცებინა სამშობლოსადმი ერთგულება და რაც მთავარია, ვაჟკაცობა, სიმამაცე და თავგანწირვის უნარი.

მაღე გაითქვა სახელი როგორც უშიშარმა მებრძოლმა. ნაწილში ყველა პატივს სცემდა და მასთან მეგობრობას ცდილობდა. ყველაზე ძნელი დავალებების შესრულებას ცდილობდა და გამოსდიოდა კიდევ. ბევრი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს და ბევრი მშვიდობიანი მოქალაქეც იხსნა სიკვდილისგან. მტრის რისხვად ჩამოყალიბდა და ხელმძღვანელობაც აფასებდა. ერთწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ უკვე ოთხი საბრძოლო ორდენი და მედალი ჰქონდა მიღებული და შენაერთის უფროსის უამრავი მადლობა. მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და ყოველთვის იქით მიიწევდა, სადაც მეტად უჭირდათ

ნაწილის მებრძოლებს.

გავიდა კიდევ ერთი წელი. საბჭოთა ჯარებმა სხვადასხვა ფრონტებზე განახორციელეს მასშტაბური კონტრშეტევეთი ოპერაციები და მსოფლიო ომის სასწორის პინა თავის სასარგებლოდ დასწიეს. ფაშისტებმა მასიურად დაიწყეს უკან დახევა. ახლოვდებოდა მათი აღსასრულის უამი.

მიხოს განსაკუთრებით ეხერხებოდა მტრის ტერიტორიაზე ღამით შეღწევა და მოენეს ჩამოყვანა. რამდენჯერმე ჰქონდა ასეთი ოპერაცია ჩატარებული და ყოველთვის წარმატებულად.

ამჯერადაც, გვიანი გაზაფხულის ერთ ღამეს, თავის ორ თანამებრძოლთან ერთად, მიხომ გადაკვეთა ფრონტის ხაზი და ღრმად შეიჭრა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. შტაბში მისცეს დავალება ჩამოეყვანა რაც შეიძლება მაღალი წოდების მოენე. ჯგუფმა შეასრულა დავალება. პირში ჩვარჩაჩრილი და ხელებშებოჭილი გერმანელი მაიორი ზურგზე მოიგდო მიხომ და ძუნძულით გაემართა თავის ნაწილისკენ. გერმანელებმა მალევე შენიშნეს მზვერავთა ჯგუფი და დაედევნენ ცეცხლის სროლით. მიხოს თანამებრძოლები ცეცხლის სროლით იგერიებდნენ მდევრებს და თან უკან იხევდნენ ნაწილისკენ. როგორც იქნა თავი დაადწიეს გერმანელ მდევარს და დანიშნულ ადგილზე გადმოკვეთეს ფრონტის ხაზი.

მიხომ შტაბის უფროსს მიჰკვარა „ძვირფასი“

ტყვე და იქვე ჩაიკეცა. მკერდში და ბარძაყში დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა. სასწრაფოდ მოათავსეს პატარა ქალაქის, ასევე პატარა ჰოსპიტალში, სადაც ოცამდე დაჭრილი ჯარისკაცი გადიოდა მკურნალობის კურსს.

მალე მიხოს ნაწილმა გადაიწია დასავლეთისკენ. მიხო კი დარჩა და განაგძობდა მკურნალობას. ჰოსპიტალში მყოფმა დაჭრილებმა და მედპერსონალმა, როცა ნახეს მიხოს ორდენები და მედლები, განსაკუთრებული მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ისიც კარგად ახსოვდათ, თუ რა დავალება მისცა ექიმებს ნაწილის უფროსმა – „მალე დააყენეთ ფეხზე, ძალიან გვჭირდება ეს სერჟანტი“.

ჯანმრთელობა სხეულმა მალე მოიშუშა ჭრილობები. ერთი თვეც არ იყო გასული, როცა მიხო საწოლიდან წამოდგა და ჯოხის დახმარებით პალატაში გაიარ-გამოიარა. რამდენიმე დღეში მედლის დახმარებით ეზოშიც ჩავიდა და რამდენიმე საათი სუფთა ჰაერზე გაატარა. მალე ჯოხიც გადააგდო და ექიმების მიერ რეკომენდირებული მსუბუქი ვარჯიშებიც წამოიწყო. ოცნებობდა ნაწილში დაბრუნებაზე და შეაწუხა ექიმები დაერთოთ ნება, მაგრამ ჯერჯერობით მისი თხოვნის შესრულებას ნაადრევად მიიჩნევდნენ. დრო კი გადიოდა. საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს. მიხო ნერვიულობდა, ფრონტისკენ იწვევდა, მაგრამ არ უშვებდნენ, ეუბნებოდნენ – მიმართვა

გვაქვს გაგზავნილი და პასუხს ველოდებითო. მიხოც ითმენდა და ელოდა.

მიხო ხშირად გადიოდა ჰოსპიტალის გარშემო არსებულ ტყეში სასეირნოდ და სხვადასხვა კენკროვანისა თუ სოკოს მოსაკრეფად. არც ველური ყვავილების შეგროვება ავიწყდებოდა, რომელსაც ფაქიზად და სიყვარულით მიაერთმევდა ხოლმე ცხვირპაჭუა სიმპათიურ მედდას, მიხოს მიმართ რომ განსაკუთრებულ მზრუნველობას და სიყვარულს ამუღავენებდა.

ერთდღილითაც, როცა ტყეში აპირებდა წასვლას, ჰოსპიტალის მთავარმა ექიმმა გააფრთხილა: „შორს არ შეხვიდე ტყეში; ცნობა გვაქვს, რომ შიგადაშიგ გერმანელი მზვერავეები და დივერსანსტები გადმოდიან; ორი დღის წინ შეუმჩნევიათ; ფრთხილად იყავი, არსად გადაეყარო. ყოველი შემთხვევისთვის ავტომატი თან იქონიე“.

მიხომ აიღო ავტომატი და ნელი ნაბიჯით გაუყვა უკვე კარგადნაცნობ ბილიკებს.

დასავლეთის მხრიდან ნიავს შიგადაშიგ მოჰქონდა აფეთქებების ხმა. სადღაც შორს მიმდინარეობდა ბრძოლები. მერე გერმანელთა ბომბდამშენმა შემოადწია საბჭოთა ჯარების მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიებზე და ბომბები ჩამოყარა. ცოტა ხანში ისევ სიჩუმემ დაისადგურა, თუმცა არემარე მაინც გაუღენთილი იყო სისხლისღვრისა და კაცთაკვლის

გულისამრევი „სურნელით“. სადღაც შორს, დასავლეთით, სიკეთე ებრძოდა ბოროტებას, დამხვდური უტევდა მომხვდურს, ორივე მხარეს კი ისმოდა დაჭრილთა კვნესა. ამ საშინელებას უჩუმრად გამოეყო მზვერავთა სამკაცრიანი ჯგუფი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა სარდლობის დავალება და ახლა აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა ტყე-ტყე, თავისი ნაწილისაკენ. ჯერ უხმოდ, მსუბუქი ძუნძულით მიდიოდნენ, მერე კი, როცა გასცდნენ სახიფათო ზონას და გადალახეს ფრონტის ხაზი – უკვე სამშვიდობოში იგრძნეს თავი და ხმამაღლადაც ალაპარაკდნენ.

– ხომ დედა ვუტირეთ ფაშისტებს, ასე უნდათ მაგ კაციჭამიებს;

– რა სწრაფად და მოხერხებულად ავუფეთქეთ ეშალონები და იარაღის საწყობები, ჯილდოები არ აგვცდებია.

– ცუდია, რომ რაცია დაგვიზიანეს. სწრაფად უნდა დავბრუნდეთ ნაწილში, თორემ ატყდება ერთი ამბავი.

– კარგით, მორჩით ტრაბახს და ფეხს აუჩქარეთ, – ბრძანების კილოთი უთხრა მაღალმა ქერა მეზობელმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო.

სადამოვდებოდა. ჩქარობდნენ, რადგან რადიოკავშირის საშუალება აღარ ჰქონდათ, არადა შესრულებული დავალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

საშური საქმე იყო. უკვე ბინდი წვებოდა, როცა მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ბუჩქებში გადაამაშული ჰქონდათ ნავიანი მოტოციკლი. კიდევ ოციოდე კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი შტაბის დისლოკაციის ადგილამდე. ის იყო შემოაცალეს მოტოციკლს ოდნავშემტკნარფოთლებიანი ტოტები, რომ სადღაც ახლოს გაისმა ავტომატის ჯერის ხმა. მზვერავებმა იცნეს გერმანული იარაღის ხმა. წელში მოღუნულები სწრაფად გაიქცნენ იმ ადგილისკენ, საიდანაც, ახლა უკვე საბჭოური ავტომატის ხმა ისმოდა.

მაღევე დასრლდა ორმხრივი სროლა. ადგილზე მისულმა სამეულმა დაინახა, თუ როგორი კისრისტებით მირობოდა ორი გერმანელი ტყის სიღრმისკენ. ერთი ფაშისტი იქვე ბუჩქთან ეგლო შუბლგახვრეტილი. ცოტა მოშორებით კი შეამჩნიეს საბჭოთა ჯარისკაცის მიწაზეგართხმული სხეული. სახე, მკერდი და ბარძაყები ერთიანად სისხლით ჰქონდა დაფარული. იქვე ეგლო ველური ყვავილების პატარა თაიგული.

სამთაგან უფროსმა მაჯა გაუსინჯა სერჟანტს და სწრაფად ბრძანა: „ვანია, ჩასვი მოტოციკლში და გადაიყვანე, აი იმ გორაკის იქით; იქ ჰოსპიტალია და იქნებ გადაარჩინონ; ჩვენ კი იმ ორ ფაშისტს დავედვენებით, ვეცდებით დავეწით; მერე აფეთქებულ ხიდთან დაგელოდებით მეთხუთმეტე კვადრატში. აბა შენ იცი, არ დაიგვიანო“. ეს სთქვა მაღალმა, ქერა მზვერავმა და სირბილით გაჰყვნენ ორი ფაშისტის ნა-



კვალევს.

ვანიამ ჰოსპიტალის შესასვლელში შეაჩერა მოტოციკლი. თეთრხალათიანები გამოცვივდნენ პალატებიდან. სანთლების შუქი ძლივს ანათებდა იქაურობას. ცაში კი მძიმე ბომბდაშენის გრხუნი ისმოდა.

ვანიამ უპატაკა ჰოსპიტალის მთავარ ექიმს, ჩააბარა დაჭრილი და ბოდიში მოიხადა, მეჩქარებაო. მიხო საოპერაციოში შეიყვანეს და საოპერაციოდ გაემზადნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა ცხვირპაჭუა მედლა.

ოპერაცია ის-ის იყო უნდა დაეწყოთ, რომ გა-

ისმა საავიაცო ბომბისათვის დამახასიათებელი წივილი და შემდეგ იქვე ახლოს მძლავრი აფეთქების ხმა. შენობა შეზანზარდა, მინები ერთიანად ჩაიმსხვრა, დამის სიბნელე აფეთქებით გამოწვეულმა ცეცხლმა გაანათა. გარეთგამოსულებს საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ – ვანიას სხეულის ნაწილებითა და მოტოციკლის ნამტვრევებით იყო მოფენილი ცეცხლწაკიდებული მიწა. პალატაში კი ექიმ-ექთნები ჩვეული გულმოდგინებით იბრძოდნენ მიხოს სიცოცხლის გადასარჩენად.

მესამე დღეს გაახილა თვალი მიხომ, მაგრამ გონება ჯერ ვერ მოეკრიფა. უაზროდ ათვალიერებდა პალატის კედლებს და მედლებს, თუმცა ხმას ვერ იღებდა. ერთი კვირის შემდეგ უკვე ალაპარაკდა, ხოლო ოპერაციებიდან ერთი თვის თავზე საწოლიდან წამოდგა და ყავარჯნებით დადიოდა. მესხიერებამაც ნორმალურად დაიწყო ფუნქციონირება და ყველაფერი გაიხსენა წვრილმან დეტალებშიც კი, ოღონდ იმ მომენტამდე, სანამ სამ ავტომობილს გერმანელს გადაეყრებოდა ტყის სიღრმეში. ან კი, როგორ უნდა ხსომებოდა, როცა ტყვიებით დაცხრილული უგონოდ ეგდო ბუჩქის ძირში. სამაგიეროდ ცხვირპაჭუა მედლამ იცოდა ყველაფერი და წვრილად გადასცა ვანიას ნაამბობი.

ვანია ვინ არის, სად არის, რომ მადლობა ვუთხრა ჩემი გადარჩენისათვის – მუდართ მიმართა ცხვირპაჭუას, რომელიც მის საწოლს არ შორდებოდა

დღისით თუ ღამით.

ეჰ, ჩემო კარგო; ვანია აღარ არის ცოცხალი. შენ რომ მოგიყვანა მოტოციკლით, სწრაფადვე წავიდა უკან, ამბობდა მეჩქარება, მელოდებიანო; ეზოდან ის ის იყო გავიდა, რომ საავიაციო ბომბი აფეთქდა მის გვერდით და დაიღუპა.

მიხოს ცრემლები მოადგა თვალზე. გული დაუმძიმდა. საშინელმა შეგრძნებამ შესამივით დაუარა მთელ სხეულში და ერთიანად შეაზანზარა.

ცხვირპაჭუა კი განაგრძობდა: მეორე დღეს ნაწილიდან მოაკითხეს მეგობრებმა – აქ გამოვგზავნეთ, დაჭრილი უნდა მოეყვანა მოტოციკლით, ხომ არ იცით, სად არის ან საით წავიდაო. გაოგნებულები დარჩნენ, როცა გაიგეს თუ სინამდვილეში რა მოხდა. თავისი ხელით გათხარეს საფლავი, აქვე ეზოში და დაფაც გააკრეს წარწერით...

მიხომ სწრაფად წამოიწია ლოგინიდან და ტანისამოსს ეცა – ჩქარა, მომეხმარე, ჩამაცვი და მიმიყვანე საფლავთან... ჩქარა, გოგო, ჩქარა...

მოუთმენლობას შეეპყრო მიხოს არსება. რაღაც საშინელების მოლოდინში ერთიანად ცახცახებდა...

დაემუნენ კიბეზე და ცხვირპაჭუა გაუძღვა ეზოს ბილიკისკენ. მიხო კოჭლობით მიუახლოვდა საფლავს და თითქოს მეხი დაეცაო – გაშემდა ერთ ადგილზე.


საფლავზე დადგმულ ფიცრის დაფაზე შავი საღებავით ეწერა: „ვანო ჩინჩარაული. 1924-1945“.

ვაიმე, ძმაო, დაიღრიალა მიხომ დაჭრილი დათვი-
ვით და უგონოდ ჩაიკეცა საფლავის მიწაზე.

გონზე მოსულს თვალწინ წარმოუდგა მთელი
ბავშვობა. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და
გამუდმებით გოდებდა. ცხვირპაჭუას არ ესმოდა სი-
ტყეების შინაარსი, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ
საფლავში მიხოსათვის უძვირფასესი ადამიანი იყო
ჩასვენებული.

საკრეკეეე

1) გველების სასაფლაო -----	3
2) აკნატუნე -----	8
3) ძველებური საათი -----	16
4) ახალი ვარსკვლავი -----	24
5) ბურთულა ჩაი -----	29
6) ალოეს გამყიდველები -----	33
7) რეჟიმის ექო -----	39
8) უნებლიე გამოსავალი -----	49
9) ფაშისტური ფარაჯა -----	53
10) უიღბლო მოკრივე -----	61
11) მინისტრის მძლოლები -----	66
12) ბატირაი -----	70
13) გაბერილი კამერა -----	81
14) სამი სიმი -----	90
15) ვანო და მიზო -----	100



დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე, ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე, ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული წიგნები: „ბედისწერა“ (რომანი), „ლეგენდები“ (ლექსები), „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია), „ბოლო ვაგონის ლექსები“, „მხიარული რითმები“, „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები), „ხსოვნის წიგნი“ (სამ ნაწილად), „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (ლექსები), „კიბის 75 საფეხური“, „აღმასა“ (მოთხრობები, ნოველები), „აჯაფსანდალი“, „მინიატურების ალბომი“, „ტელეპათიური თავგადასავლები“, „იგავ-არაკები“, „მტევნის ნაჟური“ (ლექსები), „ნოსტალგია“ (ლექსები, ნოველები), „პუბლიცისტიკა“, „აბა გამოიცანი“ (საბავშვო ლექსები), „თიკუნები“, „გველების სასაფლაო“.